პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 37-ე წელი № 225 (10619) | ოთხშაბათი, 26 სექტემბერი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

სახვითი ხელოვნების აღმავლობისათვის

დიადი კომუნისტური პარტიის მზრუნველობით საბჭოთა სახვითს ხელოვნებას, რომელიც შეიარაღებულია სოციალისტური რეალიზმის მოწინავე მეთოდით, ყველა პირობა აქვს შექმნილი იმისათვის, რომ სრულყოფილად, მაღალი ოსტატობით ასახოს ღრმა შინაარსიანი, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებით აღსავსე საბჭოთა სინამდვილე. საბჭოთა მხატვრების შემოქმედებითს შრომასთან შეუთავსებელია უიდეობის, ფორმალიზმისა და ნატურალიზმის გამოვლინება, ზერელობა, შაბლონი, მხატვრის ინდივიდუალობის წაშლა, მიმბაძველობა.

ჩვენმა ხალხმა მხურვალედ მიიღო და მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა მხატვრების მთელ რიგ ნამუშევრებს უკანასკნელ წლებში. მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ხალხთა სახვითი ხელოვნების ოსტატებთან ერთად ქართველ მხატვრებსაც თავიანთი წვლილი შეაქვთ ხელოვნების ამ მეტად მნიშვნელოვანი დარგის განვითარებაში. განსაკუთრებით ფართოდ არის გაშლილი მხადება ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი სამხატვრო გამოფენისათვის, რომელიც გაიხსნება 1957 წელს მოსკოვში.

მაგრამ იმ დიდ ამოცანებთან შედარებით, რომლებიც პარტიის XX ყრილობამ ხელოვნების მუშაკებს დაუსახა, საქართველოს მხატვრების შემოქმედებითი წარმატება ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებელი არ არის. საქართველოს მხატვრებს ცოტა აქვთ შექმნილი ისეთი ტილოები, რომლებიც დამაჯერებლად გადმოსცემენ საბჭოთა ხალხის მჩქეფარე ცხოვრებას, მის შემოქმედებითს შრომასა და გმირულ ბრძოლას კომუნიზმისათვის.

წლების განმავლობაში ჩვენი მხატვრების წამყვანი ნაწილი პიროვნების კულტით იყო გატაცებული, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა პორტრეტულ ჟანრს, ერთფეროვანი იყო მხატვართა შემოქმედებითი თემატიკა. იგი ძირითადად განისაზღვრებოდა სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის გაზვიადებული ასახვით, ხოლო ისეთ თემებს, როგორიც არის სოციალისტური მშენებლობის მსოფლიო-ისტორიული წარმატებები მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის დარგში, ხალხთა მეგობრობა, პატრიოტიზმი, მშვიდობისათვის ბრძოლა, ნაკლები ადგილი ეკავა. ცხადია, ამან შეზღუდა მხატვრების შემოქმედებითი დიაპაზონი, გამოიწვია მიმბაძველობა, თემის ერთფეროვნება, იჩქარება და შესრულების დაბალი ოსტატობა, ურთიერთმაბეზღრობა.

საქართველოს მხატვართა ნამუშევრების უკანასკნელმა გამოფენამ თბილისში, აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მხატვრების ნაწარმოებთა გამოფენამ ბაქოსა და მოსკოვში 1954 წელს, საქართველოში მოწყობილმა ინდივიდუალურმა და მოძრავმა გამოფენებმა ცხადყვეს, რომ ერთგვარ მიღწევებთან ერთად საქართველოს მხატვრების შემოქმედებაში ჯერ კიდევ მეტად სერიოზული ნაკლოვანებებია. გამოფენებმა გამოავლინეს, რომ ჩვენი მხატვრების უმრავლესობამ თავი ვერ დააღწია თემის შეზღუდულობასა და ერთფეროვნებას, სქემატიზმსა და ზერელობას, ვხვდებით ნატურალიზმის ელემენტებსაც. კვლავ მთავარ ნაკლად რჩება კომპოზიციის სისუსტე, დაბალი ოსტატობა.

საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირი, მისი გაგეობა და სექციები სუსტად ხელმძღვანელობენ მხატვართა შემოქმედებითს ცხოვრებას. საკმაოდ არ ეწყობა შემოქმედებითი დისკუსიები, მოხსენებები და ლექციები პრობლემატურ საკითხებზე, სერიოზული ყურადღება არ ექცევა ახალგაზრდა მხატვრებთან მუშაობას. როგორც საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირი, ისე მხატვართა კავშირის პარტიული ორგანიზაცია ნაკლებად ზრუნავენ მხატვართა იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის, მარქსისტულ-ლენინური თეორიით მათი შეიარაღებისათვის, მკვეთრი პრინციპიულობით არ იბრძვიან პიროვნების კულტით გამოწვეული შემოქმედებითი ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის.

სახვითი ხელოვნების განვითარებისათვის ერთ-ერთი მძლავრი იარაღია საქმიანი, პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა. მაგრამ ცალკეული მხატვრები, კრიტიკისა და ხელოვნებათმცოდნეობის სექციის წევრები კვლავ ძველებურ გზას ადგანან, მათ ჯერ კიდევ არ გამოუტანიათ სათანადო დასკვნები იმ დიდი ამოცანებიდან, რომლებსაც პარტია, ხალხი უსახავენ ხელოვნების მუშაკებს. ხელოვნებათმცოდნეები ერიდებიან მხატვრების და განსაკუთრებით ცნობილი მხატვრების ახალ ნაწარმოებთა სერიოზულ ანალიზს, კერძოდ მათი უარყოფითი მხარის გამოვლინებას, ერიდებიან პრინციპულ კრიტიკას. ამის ერთ-ერთი მაგალითი ისიც არის, რომ საქართველოს მხატვრების ნამუშევართა უკანასკნელი გამოფენის შესახებ ხელოვნებისმცოდნეთა უმრავლესობამ დუმილი არჩია, მაშინ როცა ამ გამოფენაზე წარმოდგენილი ბევრი ნაწარმოები როგორც თემატიკის, ისე მხატვრული გადაწყვეტის მხრივ სათანადო სიმაღლეზე ვერ იდგა.

შემოქმედებითი აღმავლობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მხატვართა გამოფენებს. განსაკუთრებით სასარგებლოა, როცა გამოფენები ეწყობა რესპუბლიკის გარეთ. უკანასკნელ წლებში საქართველოს მხატვართა ნამუშევრების გამოფენები მოეწყო უკრაინაში, ლიტვაში, ჩრდილოეთ ოსეთსა და სომხეთში. ის მიუდგომელი და პრინციპული შეფასება, რომელიც საქართველოს მხატვართა ნამუშევრებმა მიიღეს მოძმე რესპუბლიკებში, ხალხთა ლენინური მეგობრობის ბრწყინვალე გამოვლინება იყო და, უეჭველია, დიდად დაეხმარება ჩვენს მხატვრებს შემდგომი შემოქმედებითი აღმავლობისათვის.

ასეთი გამოფენები ფართოდ უნდა დაინერგოს პრაქტიკაში.

შემოქმედებითი მუშაობის სწორი ორგანიზაცია დიდად არის დამოკიდებული საბჭოთა მხატვრების კავშირის მუშაობაზე. იგი უნდა ეხმარებოდეს მხატვრებს მასების კომუნისტურ აღზრდაში, ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების დაძლევაში. მხატვართა კავშირი სისტემატურად უნდა განიხილავდეს მხატვრობის განვითარების და სრულყოფის ძირითად საკითხებს, სახვითი ხელოვნების ცალკეულ ნაწარმოებებს, ჯანსაღი კრიტიკით უწყობდეს ხელს მხატვართა იდეურ და შემოქმედებითს ზრდას.

ახორციელებს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახალ შესანიშნავ წარმატებებს აღწევს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში. საქართველოს მხატვრების ამოცანაა ბოლომდე აღმოფხვრან პიროვნების კულტით გამოწვეული გატაცება, რამაც რესპუბლიკის სახვითი ხელოვნების განვითარება წლების მანძილზე საგრძნობლად შეაფერხა, მაღალი ოსტატობით დაწერილ ტილოებზე სრულყოფილად უჩვენონ ისტორიის შემოქმედი ხალხი, კომუნისტური პარტიის მაორგანიზებელი როლი, ხალხთა მეგობრობა, საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი ცხოვრება და გმირული შრომა, ჩვენი სამშობლოს თვალწარმტაცი ბუნების სურათები.

მხოლოდ ამით შეიძლება დააკმაყოფილონ ჩვენმა მხატვრებმა საბჭოთა ხალხის — კომუნიზმის მშენებელი ხალხის მზარდი სულიერი მოთხოვნილება, მხოლოდ ამ გზით შეუძლიათ ჩვენს მხატვრებს საპატიო ადგილი დაიკავონ საბჭოთა მხატვრების 1957 წლის დიდ გამოფენაში.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი იუგოსლავიაში

ბელგრადი, 25 სექტემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ბორბა“ იუწყება, 24 სექტემბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი და იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო იყვნენ ქალაქ კოპარში.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და პრეზიდენტ ტიტოს, რომელნიც იახტ „იადრანკით“ ჩავიდნენ იუგოსლავიაში სსრ კავშირის ელჩის ნ. პ. ფირიუბინის თანხლებით, კოპარის ნავმისადგომში შეხვდნენ სლოვენიის აღმასრულებელი ვეჩეს წევრები ვ. ავბელი, ნ. შილიხი და ტ. ბოლე, აგრეთვე რაიონული სახალხო კომიტეტის თავმჯდომარე ა. დუიცი.

კოპარში ყოფნის დროს ნ. ს. ხრუშჩოვმა და პრეზიდენტმა ტიტომ დაათვალიერეს „ვინო კოპარის“ საწარმოები.

16 საათსა და 30 წუთზე ნ. ს. ხრუშჩოვი და პრეზიდენტი ტიტო კოპარიდან ბრიონში გაემგზავრნენ.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის VIII სრულიად ჩინეთის ყრილობაზე

პეკინი, 24 სექტემბერი. (საკდესი). ჩინეთის კომუნისტური პარტიის VIII სრულიად ჩინეთის ყრილობის დღეგანდელ სხდომა დაიწყო ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ქალთა შორის მუშაობის კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ცაი ჩანის გამოსვლით. აღნიშნა რა, რომ ჩინეთის ქალებმა დიდი წვლილი შეიტანეს რევოლუციის საქმეში, მან თქვა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის შემდეგ პარტიამ და მთავრობამ ბევრი ქალი დაწინაურეს ხელმძღვანელ სამუშაოზე. 1955 წლის დამლევისათვის სხვადასხვა პოსტზე მუშაობდა 764 ათასზე მეტი ქალი — კადრის მუშაკი, რაც შეადგენს ჩინეთში კადრის მუშაკთა საერთო რიცხვის 14,5 პროცენტს. სოციალისტური რევოლუციის მსვლელობაში ჩინელ ქალთა წრიდან გამოვლინდა ათეულ ათასობით ახალი აქტივისტი. ამასთანავე ამხ. ცაი ჩანმა აღნიშნა, თუ რა ნაკლოვანებები აქვს ქალებისაგან მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა მომზადების საქმეს. მან აგრეთვე აღნიშნა ჩამორჩენა ქალთა კულტურული დონის ამაღლების დარგში.

ილაპარაკა რა ღონისძიებებზე, რომლებიც განხორციელდა მომუშავე ქალთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად, ცაი ჩანმა აღნიშნა, რომ, მიუხედავად საბავშვო ბაღებისა და ბაგების ქსელის დიდი განვითარებისა, ბაღები და ბაგები ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებენ არსებულ მოთხოვნილებას.

ამხ. ცაი ჩანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა კადრის მუშაკი ქალების სოციალისტური შეგნების შემდგომი ამაღლება, მათთვის დახმარების გაწევა მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლაში, პროფესიულ ჩვევათა დაუფლებაში. უმაღლესმა სასწავლებლებმა და სამეცნიერო-საკვლევმა დაწესებულებებმა, თქვა მან, სტუდენტთა და ასპირანტთა მიღების დროს უნდა გაადიდონ ქალების მიღება. საჭიროა აგრეთვე დიდი ზრუნვა გამოვიჩინოთ მომუშავე ქალებისათვის, რომლებსაც გათხლების დაბალი დონე აქვთ, დავეხმაროთ მათ თავიანთი კვალიფიკაციის ამაღლებაში.

შემდეგ ყრილობას მიესალმნენ ალჟირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბუხალი, მექსიკის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელი ტერასასი, დანიის კომუნისტთა წარმომადგენელი მ. ნილსენი, პარაგვაის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელი, ეკვადორის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი საად-ნიამი და ბოლივიელი კომუნისტების წარმომადგენელი. მათ გამოთქვეს თავიანთი ქვეყნების კომუნისტური პარტიებისა და ხალხთა სოლიდარობა ჩინეთის ხალხისა და კომუნისტური პარტიისადმი და აღნიშნეს ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც ჩინეთის რევოლუციის გამარჯვებას ჰქონდა ეროვნულ-განმთავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობისათვის მთის ქვეყნებში.

სიტყვა ეძლევა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მე-4 კანცელარიის უფროსს დელეგატ ძია ტო-ფუს, რომელმაც თავისი სიტყვა მიუძღვნა მსუბუქი მრეწველობის განვითარების ზოგიერთ საკითხს.

პირველი ხუთწლედის განმავლობაში, ამბობს იგი, მსუბუქი მრეწველობის წარმოების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა; მეორე ხუთწლედში იგი კიდევ უფრო დიდი გახდება. მსუბუქი მრეწველობის განვითარებისათვის საჭიროა მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარება და სოფლის მეურნეობის ყოველი ღონისძიებით აღმავლობა.

ილაპარაკა რა დაფარული საწარმოო რეზერვების გამოვლინებისა და გამოყენების დიდ მნიშვნელობაზე, ძია ტოფუმ აღნიშნა, რომ საჭიროა არა მარტო გაუმჯობესდეს წარმოების მართვა, არამედ მოხდეს არსებული საწარმოების რეკონსტრუქციაც. მან აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა საწარმოო სიმძლავრეთა თანაბარზომიერი განლაგება.

მსუბუქ მრეწველობაში კაპიტალური მშენებლობის მსვლელობაში, განაგრძო ორატორმა, მეორე ხუთწლედის მანძილზე მეტად საჭიროა გადაიჭრას მოწყობილობის მიწოდებისა და ინჟინერ-ტექნიკური კადრების მომზადების საკითხი. უნდა გაუმჯობესდეს მსუბუქი მრეწველობის მომარაგება ნედლეულითა და მასალებით, გაგრძელდეს ბრძოლა ეკონომიისათვის, შემცვლელთა დანერგვისათვის ისე, რომ შენარჩუნებულ იქნას პროდუქციის მაღალი ხარისხი.

თავმჯდომარე სიტყვას აძლევს დელეგატ ძიან ხუას (ჯეძიანის პროვინციის პარტორგანიზაცია). მან ილაპარაკა მემარჯვენე გადახრის შეცდომებზე, რომლებიც პროვინციაში დაუშვეს სოფლის მეურნეობის კოოპერირების დროს. გასული წლის გაზაფხულზე, განაცხადა ორატორმა, პარტიის პროვინციულმა კომიტეტმა, რომელიც შეაშინა საწარმოო კოოპერატივების რიცხვის სწრაფმა ზრდამ, დაშალა 15 ათასი კოოპერატივი. გლეხები მეტად უკმაყოფილნი იყვნენ ამის გამო და გააკეთეს თავისებურად: დაარქვეს კოოპერატივებს შრომითი ურთიერთდახმარების ჯგუფები და შეინარჩუნეს თავიანთი გაერთიანებანი. მას შემდეგ, რაც ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ შეუწყნარებელია მასების ინიციატივის შებრკვა, პარტიულმა კომიტეტმა გაშალა სწორა არსებული შეცდომები. მიმდინარე წლის დამლევისათვის პროვინციაში სავსებით დამთავრდება სოფლის მეურნეობის კოოპერირება.

შესვენების შემდეგ გამოვიდა სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილე და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ლი ფუ-ჩუნი, რომელიც შეჩერდა დაგეგმვის საკითხებზე.

ხალხის დემოკრატიული დიქტატურის წყობილების შექმნამ და განმტკიცებამ, დიქტატურისა, რომელსაც მუშათა კლასი ხელმძღვანელობს, თქვა მან, ეკონომიკის საარსებო მნიშვნელობის დარგების ნაციონალიზაციამ, დემოკრატიული გარდაქმნების განხორციელების ამოცანათა წარმატებითმა გადაჭრამ, სახალხო მეურნეობის სწრაფმა აღდგენამ და განვითარებამ, სადაც ხელმძღვანელი მდგომარეობა ეკონომიკის სოციალისტურ სექტორს უკავია, და განსაკუთრებით პარტიის გენერალური ხაზის შემუშავებამ გარდამავალ პერიოდში, აგრეთვე სსრ კავშირში გეგმიანი მეურნეობის გაძლოლის მაგალითმა და ჩინეთის ეკონომიკური მშენებლობისადმი საბჭოთა კავშირისა და სხვა მოძმე ქვეყნების უდიდესმა დახმარებამ ჩინეთში გეგმიანი მეურნეობის გაძლოლის ძირითადი პირობები შექმნა. ჩინეთის კომუნისტური პარტია და მთავრობა შეუდგნენ გეგმიანი ეკონომიკის შექმნას ორი მიმართულებით. პირველი და ძირითადი მათში ის არის, რომ ჩვენი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მსვლელობაში ცენტრალურმა კომიტეტმა, გაითვალისწინა რა ეკონომიკის განვითარების ტენდენცია, აგრეთვე პარტიის გენერალური ხაზი გარდამავალ პერიოდში, დასახა მთელი რიგი პოლიტიკური მითითებანი და ღონისძიებანი და, შეასრულა რა უდიდესი ორგანიზაციული მუშაობა, თანდათან გადაიყვანა გეგმიანი ეკონომიკის რელსებზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგი და სხვადასხვა ეკონომიური სექტორი. ამ პოლიტიკურ მითითებებსა და ღონისძიებებში ძირითადია ეკონომიკის სოციალისტური სექტორის უპირატესი განვითარების პოლიტიკა, სოფლის მეურნეობის, შინამრეწველობის კოოპერირების პოლიტიკა, კაპიტალისტური მრეწველობისა და ვაჭრობისადმი „გამოყენების, შეზღუდვისა და გარდაქმნის პოლიტიკის“ განხორციელება.

1951-1952 წლებში, ამბობს ლი ფუ-ჩუნი, დაიწყო სახალხო-სამეურნეო გეგმის საერთო სახელმწიფოებრივი წლიური საკონტროლო ციფრების დამუშავება, ხოლო 1953 წლიდან ჩვენ პირველი ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას შევუდექით. გეგმით გათვალისწინებული იყო სოციალისტური გარდაქმნების შედარებით ნელი ტემპი, მაგრამ იმის მეოხებით, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი სწორად ხელმძღვანელობდა სოციალისტური გარდაქმნების დაჩქარების მუშაობას, პრაქტიკული მუშაობა არ ყოფილა შებოჭილი წინანდელი საგეგმო დავალებები.

ამხ. ლი ფუ-ჩუნი აღნიშნავს, რომ დაგეგმვის მუშაობაში იყო ნაკლოვანებანი და შეცდომები. მათგან მთავარი ის არის, რომ დაგეგმვა არ ყოფილა ყოველმხრივი, არ ყოფილა მოქნილი, არ ყოფილა მორსგანჭვრეტილი. იგი ამბობს, რომ ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და დაგეგმვის დონის ასამაღლებლად საჭიროა დავემყაროთ უკანასკნელი წლების დაგეგმვის გამოცდილებასა და გაკვეთილებს და კიდევ უფრო ღრმად შევიცნოთ და გამოვიყენოთ სახალხო მეურნეობის განვითარების ობიექტური კანონები, სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი და პროპორციული განვითარების კანონი და ვაუმჯობესოთ დაგეგმვის მეთოდები.

დაწვრილებით შეჩერდა რა დაგეგმვის გაუმჯობესების საკითხებზე, ლი ფუ-ჩუნმა შემდეგ აღნიშნა, რომ დაგეგმვა სრულიად ახალი საქმეა ჩინეთისათვის. ამიტომ სისტემატურად უნდა ვსწავლობდეთ საბჭოთა კავშირისა და სხვა მოძმე ქვეყნებისაგან, უნარიანად ვუხამებდეთ მათს მოწინავე გამოცდილებას ჩინეთის სინამდვილეს.

შეეხო რა ჩინეთის ახლანდელ ეკონომიურ ვითარებას, ლი ფუ-ჩუნმა აღნიშნა, რომ სოციალისტურ გარდაქმნებში უკვე მოპოვებულია გადამწყვეტი გამარჯვება. სოციალისტური მშენებლობა ახალ ალმავლობას განიცდის. ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა გაძლიერდეს ეკონომიურ საქმიანობაში წარმმართველი როლი ძირითადი საგეგმო მაჩვენებლებისა, რომლებიც სახელმწიფომ დააწესა და რომლებსაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ, საჭიროა აგრეთვე, თქვა მან, კიდევ უფრო ფართოდ განვითარდეს სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოების აქტივობა გეგმების ვადამდე მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

დაგეგმვის დონის ასამაღლებლად, ამბობს ლი ფუ-ჩუნი, საჭიროა, რომ სხვადასხვა საფეხურის პარტიულმა კომიტეტებმა გააძლიერონ ხელმძღვანელობა ამ მუშაობისადმი.

ლი ფუ-ჩუნი ამბობს, რომ ამჟამად ყველა საგეგმო ორგანოს წინაშე დასახულია ამოცანა გაითვალისწინონ წინადადებანი სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის შესახებ და სამინისტროებთან, უწყებებთან და ადგილობრივ ორგანოებთან ერთად შეიმუშაონ მეორე ხუთწლიანი გეგმა. იგი გამოთქვამს რწმენას, რომ ეს ამოცანა წარმატებით შესრულდება.

შემდეგ ყრილობას მიესალმნენ ურუგვაის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელი და ისლანდიის სოციალისტური ერთიანობის პარტიის დელეგაციის მეთაური გუდმუნდსონი.

კითხულობენ აგრეთვე მისასალმებელ დეპეშებს, რომლებიც ყრილობის სახელზე მოვიდა ვენესუელის, ლუქსემბურგისა და ტრიესტის კომუნისტური პარტიებისაგან.

ამის შემდეგ გამოვიდა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე ლი სიუე-ფინი, რომელიც შეეხო სახელმწიფო სამრეწველო საწარმოებში პარტიული მუშაობის ზოგიერთ საკითხს.

ამ უკანასკნელ წლებში სახელმწიფო სამრეწველო საწარმოებმა დიდი წარმატებანი მოიპოვეს, ამბობს იგი, მაგრამ იმის გამო, რომ [illegible] მსხვილი [illegible] მართვა ჩინეთისათვის ახალი სამეურნეო ამ დარგში [illegible] დაშვებული. ამ შეცდომებში განსაკუთრებით სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს პარტიული ხელმძღვანელობის უგულებელყოფის ტენდენციებს, აგრეთვე მუშაობის სუბიექტივისტურ და ბიუროკრატულ სტილს, რომელიც გამოიხატება სინამდვილისაგან, მასებისაგან მოწყვეტით. ამიტომ პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებას საწარმოებში და პარტიული ხაზის — „მასების ხაზის“ თანმიმდევრულად განხორციელებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს სამრეწველო საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

ორატორმა მოუწოდა საწარმოთა პარტიულ ორგანიზაციებს და ყველა კადრის მუშაკს კიდევ უფრო ფართოდ დაეყრდნონ მასებს თავიანთ მუშაობაში.

ტრიბუნაზეა ახალგაზრდობის ახალ-დემოკრატიული კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ხუ იაო-ბანი. იგი ამბობს, რომ ახალგაზრდობის ახალ-დემოკრატიული კავშირი აერთიანებს მთელი ჩინეთის ახალგაზრდობის თითქმის 17 პროცენტს. სოფლებში, საწარმოებში, სასწავლებლებში, სახელმწიფო დაწესებულებებსა და სახალხო-განმთავისუფლებელი არმიის ნაწილებში ორიგინება ახალგაზრდობის ახალ-დემოკრატიული კავშირის 700 ათასი პირველადი ორგანიზაცია. რვა წელიწადში ახალგაზრდობის ახალ-დემოკრატიული კავშირის 2.150 ათასი წევრი ჩინეთის კომუნისტურ პარტიაში შევიდა. ახალგაზრდობის ახალ-დემოკრატიული კავშირი პარტიის საამედო რეზერვია.

ახლა, განაგრძო ორატორმა, როცა ჩინეთის სოციალისტურ გარდაქმნებში უკვე მოპოვებულია გადამწყვეტი გამარჯვება, ახალგაზრდობის ახალ-დემოკრატიული კავშირისათვის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის დარქმევა სავსებით შეესაბამება ახალგაზრდობის ფართო მასების მისწრაფებას.

ილაპარაკა რა ახალგაზრდობის აღზრდაზე, ხუ იაო-ბანმა აღნიშნა, რომ ახალგაზრდობას უნდა ჰქონდეს არა მარტო კომუნისტური მსოფლმხედველობა, მტკიცე ნება და ხასიათი და კარგი ჯანმრთელობა, არამედ მას უნდა ჰქონდეს აგრეთვე თანამედროვე კულტურული და ტექნიკური დონე, აგრეთვე მეცნიერული ცოდნა. ამჟამად უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში სწავლობს 5 მილიონზე მეტი კაცი, დაწყებითის სკოლებში — 57 მილიონი კაცი. მაგრამ ახალგაზრდობის მეტი ნაწილი, — თქვა ხუ იაო-ბანმა, — ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულა წერა-კითხვის უცოდინარობისაგან, ხოლო წარმოების ახალგაზრდა მუშათა ტექნიკური დონე, როგორც წესი, ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს წარდგენილ მოთხოვნებს. ამიტომ სასწავლებელთა ქსელის გეგმიან გაფართოებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სწავლების განვითარებას არასამუშაო დროს.

ჩინეთის კომუნისტური პარტია, თქვა დასასრულ ხუ იაო-ბანმა, მტკიცედ მიუძღვის ხალხს დიადი მომავლისაკენ. სოციალისტური ტიპის ახალ ადამიანთა აღზრდა, ისევე როგორც ახალი სოციალისტური ეკონომიკის განვითარება, პარტიის ძირითადი ამოცანებია გარდამავალ პერიოდში, და ეს ამოცანები მჭიდროდ არის დაკავშირებული ურთიერთმორის.

დღევანდელ სხდომაზე უკანასკნელმა ილაპარაკა შანსის პროვინციის ჩანჯის ოლქის პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. ძია ძიუნმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. დ. ჩუბინიძემ მიიღო სსრ კავშირში ქალთა თანასწორუფლებიანობის შესახებ საერთაშორისო სემინარის მონაწილეები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. დ. ჩუბინიძემ მიიღო სსრ კავშირში ქალთა თანასწორუფლებიანობის შესახებ საერთაშორისო სემინარის მონაწილეთა ჯგუფი.

მიღებას დაესწრნენ ქალთა საერთაშორისო სემინარის მონაწილენი. აქვე იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ქალები, თბილისის მთელ რიგ საწარმოთა მოწინავე ქალები, მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეები.

მ. დ. ჩუბინიძემ, მიესალმა რა უცხოელ სტუმრებს, გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა კავშირში მათი ვიზიტი ხელს შეუწყობს ყველა ქვეყნის ქალთა შორის კონტაქტის შემდგომი განმტკიცების საქმეს, მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ნ. ა. ჯავახიშვილმა უამბო ქალთა საერთაშორისო სემინარის მონაწილეთა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის განვითარების, რესპუბლიკის ქალთა ყოფაცხოვრებისა და შრომის შესახებ.

საქართველოს სსრ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში არჩეულია 101 ქალი — ყველა დეპუტატთა 30 პროცენტზე მეტი, ადგილობრივ საბჭოებში — დაახლოებით 11 ათასი, ანუ ყველა დეპუტატთა მესამედზე მეტი. საქართველოს 17 ქალი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

ქალები მუშაობენ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის დარგის წამყვან უბნებზე. სოფლის მეურნეობის დაახლოებით 10 ათასი მშრომელი ქალი მამაცური შრომისათვის დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით, საქართველოს 400 ქალს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის სატიტო წოდება.

მიღების დროს მის მონაწილეთა შორის გაცხოველებული საუბარი გაიმართა. (საქდესი).

შესრულებულია ხუთწლედის დავალება მატყლის წარმოების დარგში

იბრძვიან რა იმ ამოცანების გადასაჭრელად, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დაუსახა სოფლის მეურნეობის მშრომელებს, გარდაბნის რაიონის კოლმეურნეობებმა 19 სექტემბრისათვის ვადამდე 101,6 პროცენტით შეასრულეს მეექვსე ხუთწლედის დავალება მატყლის წარმოების დარგში. საშუალო ნაპარსმა ერთ ცხვარზე შეადგინა 3,3 კილოგრამი გეგმით გათვალისწინებული 2,8 კილოგრამის ნაცვლად.

სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების მიმდინარე წლის გეგმა რაიონმა 140 პროცენტით შეასრულა. სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარება გრძელდება. (საქდესი).

სსრ კავშირში ქალთა თანასწორუფლებიანობის შესახებ საერთაშორისო სემინარის მონაწილეთა ჯგუფი თბილისში

გუშინ, 25 სექტემბერს სსრ კავშირში ქალთა თანასწორუფლებიანობის საკითხისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სემინარის მონაწილეთა ჯგუფი, რომელიც სტუმრად არის თბილისში, ეცნობოდა საქართველოს დედაქალაქის ცხოვრებას.

უცხოელი სტუმრები იყვნენ სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში, რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის ერთ-ერთ უდიდეს საწარმოში. კომბინატის კოლექტივმა გულთბილად მიიღო ისინი. საწარმოს დირექტორმა ე. ზ. თავაძემ საერთაშორისო სემინარის მონაწილეთ გააცნო კომბინატის მუშაობა, სადაც მუშაკთა 78 პროცენტზე ქალები შეადგენენ.

უცხოელმა სტუმრებმა დაახლოებით სამი საათი გაატარეს კომბინატში. მათ დაათვალიერეს მისი საამქროები, უყურებდნენ ქალის კაპრონის წინდების გამოშუშვების პროცესებს. უცხოელი ქალები იყვნენ საბავშვო ბაღში.

ქალთა საერთაშორისო სემინარის მონაწილეებმა დაათვალიერეს აგრეთვე საწარმოს სპორტის დარბაზი, პოლიკლინიკა, მუშათა სასადილო, კულტურის სახლი.

ქალთა საერთაშორისო სემინარის მონაწილემ ანა ოდეგარდმა განაცხადა:

— შეიძლება საბჭოთა ქალებს მივულოცოთ, რომ მათ შეუძლიათ აირჩიონ სამუშაო მამაკაცის თანაბრად და მიიღონ თანაბარი ხელფასი თავის შრომაში. საერთო აზრს გამოვთქვამ, თუ ვიტყვი, რომ ჩვენ აღტაცებული ვართ ყოველივე ამით, რაც საწარმოში ვნახეთ.

ბელგიის ქალთა ფედერაციის თავმჯდომარემ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა ჟერმენ დიდერიხმა თქვა:

— საწარმომ მშვენიერი შთაბეჭდილება დამიტოვა. მის ნათელ, ვრცელ საამქროებში შრომობენ ბედნიერი, თავისთავისადმი რწმენით გამსჭვალული ადამიანები. თქვენს ქვეყანაში ყველაფერი კეთდება მუშათა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

ნაშუადღეს უცხოელი სტუმრები ეწვივნენ ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. აქ ისინი დაინტერესდნენ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაყენებით, ესაუბრნენ პროფესორებს, მასწავლებლებსა და სტუდენტებს, დაათვალიერეს აუდიტორიები, მინერალოგიის მუზეუმი. ქალთა საერთაშორისო სემინარის მონაწილეთა ჯგუფი იყო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დეპოსა და ბავშვის დაცვის ინსტიტუტში. სტუმრებმა ინოგზაურეს ქალაქში.

საქართველოს სსრ მინისტრთა

ჩავაყენოთ ახალქალაქის რაიონი მოწინავეთა რიგებში

ფერილები მაღალმთიანი რაიონიდან

ზღვის დონიდან ორ ათას მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს ტყეებითა და ბაღებით ღარიბი, მაგრამ წყაროებითა და საძოვრებით მდიდარი ახალქალაქის რაიონი — ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი მსხვილი სასოფლო-სამეურნეო რაიონი.

ახალქალაქის რაიონის სოფლის მეურნეობაში წამყვანი დარგებია მეცხოველეობა, მეკარტოფილეობა და მარცვლეული კულტურების წარმოება. სოფლის მეურნეობის ამ დარგების განვითარებისათვის რაიონის კოლმეურნეობებში ბევრი შესაძლებლობა და რეზერვებია. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს შესაძლებლობანი და რეზერვები ჯერ კიდევ არ არის მთლიანად გამოყენებული.

პიროვნების კულტმა, ხალხის საძულველი მტრის, საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტის ბერიას ანტიპარტიულმა და ანტისახელმწიფოებრივმა დანაშაულებრივმა საქმიანობამ დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს მშრომელებს. ბერიას მტრული მოქმედების შედეგად ფერხდებოდა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარება. ბერია და მისი თანამზრახველები ახორციელებდნენ ანტისაკოლმეურნეო პოლიტიკას, აქეზებდნენ კერძომესაკუთრულ ტენდენციებს საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების საზიანოდ. ამ მოქმედების შედეგად საქართველოს ზოგი რაიონი პრივილეგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაშინ როცა სხვა, კერძოდ მთიანი რაიონები, მათ შორის ახალქალაქის რაიონიც, აღმოჩნდნენ ძალიან ძნიმე ეკონომიურ მდგომარეობაში, რომელიც დღემდე კიდევ არ არის დაძლეული.

ბერიევშჩინამ დიდი ზიანი მიაყენა ახალქალაქის რაიონის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებას.

ბერიასა და მისი თანამზრახველების მხილების შემდეგ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითებათა საფუძველზე, ახალქალაქის რაიონში, ისევე როგორც მთელ ჩვენს რესპუბლიკაში, გაიშალა მუშაობა ბერიევშჩინის შედეგების აღმოსაფხვრელად. ჯერ კიდევ 1955 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს სპეციალური დადგენილება ახალქალაქის რაიონის კოლმეურნეობებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. მიღებულ ღონისძიებათა შედეგად ვითარდება საზოგადოებრივი მეცხოველეობა, იზრდება პროდუქტიულობა. თვითეულ ძროხაზე წველადობა ნაცვლად 1950 წლის 531 კილოგრამისა 1955 წელს შეადგენდა 822 კილოგრამს. მიმდინარე წლის 1 სექტემბრისათვის თვითეულ ძროხაზე უკვე მიღებულია 819 კილოგრამი რძე. შედარებთან ნელა, მაგრამ განუწყვეტლივ იზრდება კოლმეურნეობათა შემოსავლიანობა.

დამთავრებულია მშენებლობა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ხუთი სარწყავი არხი — ლომტურკხისა, მერენია-ბულაშენისა, იხტილისა, ტურკხისა და ხანდოსი. ამ არხების საშუალებით 4.000 ჰექტარი ფართობი ირწყვება. ამას გარდა წელს აიგო დიდი სამსარისა და პატარა სამსარის სარწყავი არხები 8,5 კილომეტრი საერთო სიგრძისა. ორივე არხი მორწყავს 300 ჰექტარამდე ფართობს.

უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში 500-ზე მეტმა კოლმეურნემ სახელმწიფოსაგან მიიღო კრედიტი და აიშენა კეთილმოწყობილი სახლი. წელს 600 კოლმეურნე კიდევ დაამთავრებს ახალი სახლების მშენებლობას.

მაგრამ მუშაობა ახალქალაქის რაიონის მოწინავეთა რიგებში ჩასაყენებლად ჯერ კიდევ ნელი ტემპით მიმდინარეობს. ბევრ კოლმეურნეობაში შრომადღეებზე უმნიშვნელო რაოდენობით ნაწილდება პროდუქტები და ფული. ძალიან დაბალია კარტოფილის მოსავლიანობა. მრავალ კოლმეურნეს არა აქვს კეთილმოწყობილი სახლი. რაიონის 62 კოლმეურნეობიდან მხოლოდ 24 კოლმეურნეობაა ელექტროფიცირებული. ნაკლები ყურადღება ექცევა ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას.

ამ ნაკლოვანებების გამოსწორება რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა. მათ უფრო მეტი აქტივობა, ინიციატივა და ბრძოლისუნარიანობა უნდა გამოიჩინონ ადგილობრივი საშუალებებისა და რეზერვების გამონახვასა და გამოყენებაში. მაგრამ არ შეიძლება მთელი პირდაპირობით არ აღინიშნოს, რომ ახალქალაქის მშრომელებს უფრო მეტი წარმატებები ექნებოდათ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საქმეში, რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროები და უწყებები უფრო ქმედითად, კონკრეტულად, საქმიანად რომ ეხმარებოდნენ მათ.

რესპუბლიკის ბევრი სამინისტრო და უწყება შეუწყნარებელ უპასუხისმგებლობას იჩენს და აშკარად აფერხებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1955 წლის მარტში მიღებული გადაწყვეტილების შესრულებას.

უწინარეს ყოვლისა ეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შეეხება. სამინისტროს მუშაკებმა უთუოდ კარგად იციან, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მექანიზაციას მაღალმთიანი რაიონების ეკონომიური ჩამორჩენილობის დაძლევის საქმეში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაღალმთიან რაიონებში მონუშავე მტს-ების მუშაობის გასაუმჯობესებლად, ამ მტს-ების სამანქანო პარკის გაძლიერებლად დღემდე ცოტა რამ კეთდება. ამას ნათლად მოწმობს მდგომარეობა ახალქალაქის რაიონის მტს-ებისა, რომლებსაც ჯერ კიდევ ბევრი სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები აკლიათ.

— წელს ჩვენს კოლმეურნეობებში, — გვეუბნება პარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველი მდივანი ა. ბლრაციანი, — 2.800 ჰექტარი კარტოფილია დათესილი. მაგრამ რაიონში მოქმედ ახალქალაქის, ვაჩიანის და ბარალეთის მტს-ებს მხოლოდ რამდენიმე კულტივატორი აქვთ. ამიტომ კარტოფილის ნათესების დამუშავებას ხელით ვაწარმოებთ, რაც ამ სამუშაოს ჩამორჩენას იწვევს. ჩვენმა მტს-ებმა მიიღეს „ბელორუსის“ მარკის სამი ტრაქტორი... უგუთნებოდ. ამის გამო ეს ტრაქტორები აქამდე გამოუყენებელია.

სოფლის მეურნეობის სამინისტროში არ ითვალისწინებენ მაღალმთიანი რაიონის თავისებურ პირობებს და ამის მიხედვით არ აწესებენ ტრაქტორებისა და კომბაინების დატვირთვის გეგმებს. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სწორად მივიჩნიოთ ის, რომ 15 ძალიანი ტრაქტორის დატვირთვის წლიური გეგმა ახალქალაქის მტს-ში შეადგენს 366,4 ჰექტარს, ხოლო დიმის მტს-ში — 314,3 ჰექტარს. და ეს მაშინ, როცა ახალქალაქში ზამთარი 5 თვეს გრძელდება, დიმის ველზე კი ტრაქტორები თითქმის მთელი წლის განმავლობაში მუშაობენ. ასევე უმართებულოდ არის შედგენილი საწვავის ხარჯვის ნორმები. თვითეული ჰექტარის მოხვნაზე დიზელიანი ტრაქტორით შუშაობის დროს ახალქალაქელმა ტრაქტორისტმა უნდა დახარჯოს 15 კილოგრამი საწვავი, ნაშუალმა კი — 15,5 კილოგრამი. და ეს მაშინ, როცა გარკვეული სახის სამუშაოთა შესასრულებლად ბარეთან შედარებით მთის პირობებში მუშაობის დროს გაცილებით მეტი საწვავი იხარჯება.

ბარალეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგური ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა მტს-ია ჩვენს რესპუბლიკაში. იგი შეიქმნა 1953 წელს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ. გასაგებია, რომ ახლად შექმნილ მტს-ს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაკების უფრო მეტი ყურადღება და საქმიანი დახმარება ესაჭიროებოდა. მაგრამ ასეთი დახმარება და ყურადღება დღემდე ნაკლებად იგრძნობა. ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში სამინისტრო ბარალეთელ მექანიზატორებს დაპირდა, რომ 1956 წელს მათთვის გათვალისწინებული იქნებოდა „ДТ-54“ მარკის ორი ტრაქტორი. მაგრამ გათვალისწინებას ვინღა ჩივის, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მტს-ის განკარგულებაში არსებული ქვისსათხრელი 2 ტრაქტორი უკანვე არ წაელო. ეს ტრაქტორები სამინისტრომ ერთი ქუთაისის, ხოლო მეორე გაგრის მტს-ს გადასცა.

— არც გაგრაში და არც ქუთაისში ტრაქტორები გამოყენებული არ არის, ჩვენთვის კი ძალიან საჭიროა, — გულისტკივილით ამბობს ბარალეთის მტს-ის დირექტორი ი. კრავჩენკო.

ბევრი ნაკლია ბარალეთის მტს-ის მუშაობაში. ამაში ბრალი მიუძღვით მტს-ის ხელმძღვანელებს, რაიონის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, სოფლის მეურნეობის სამინისტროსაც, მაგრამ ყველაზე მეტად — საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს. იგი აქამდე აჭიანურებს ბარალეთის მტს-ის კომპლექსურ მშენებლობას.

ვიყავით ბარალეთის მტს-ის მშენებლობაზე, ვესაუბრეთ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს საერთო-სამშენებლო № 2 ტრესტის ახალციხის სამშენებლო სამმართველოს მთავარ ინჟინერს ზ. ასლამაზიანს.

— ჩვენ დავალებული გვქონდა ჯერ კიდევ 1955 წელს დაგვემთავრებინა მტს-ის მშენებლობა, — გვეუბნება იგი, — მაგრამ საშენი მასალების ნაკლებობის გამო აქამდე ვერ შევასრულეთ დავალება.

მშენებლობაზე შეუწყნარებელი ჩამორჩენაა. სამი წელიწადია ჭიანურდება წყალსადენის გამოყვანა. ჯერ არ დაუწყიათ სათბობი ბაზის აგება. ჯერობით მექანიზატორთა საცხოვრებელი სახლის მხოლოდ კედლებია ამოყვანილი. მართალია, მტს-ის სახელოსნოს შენობა აგებულია, მაგრამ შიგნით ჯერ კიდევ მოუწყობელია. საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ უნდა მიიღოს გადამჭრელი ზომები ბარალეთის მტს-ის მშენებლობის დასამთავრებლად.

რაიონის კოლმეურნეობები საშენი მასალების მწვავე ნაკლებობას განიცდიან. სწორედ ამ გარემოებას ითვალისწინებდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, როცა თავიანთი გადაწყვეტილებით საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს დაავალეს — დაეწყო 1955 წელს ახალქალაქის რაიონში აგურის, კრამიტისა და კირის ქარხნების მშენებლობა. სამწუხაროდ სამინისტრო ამ დავალებას ცუდად ასრულებს. შეუწყნარებლად ჭიანურდება აზავრეთში კირის ქარხნის მშენებლობა.

— აზავრეთში მაღალხარისხოვანი კირის მისაღებად ნედლეულის დიდი მარაგია, — მოგვითხრობს რაიონული სამრეწველო კომბინატის დირექტორი ს. ბაბაიანი. — მაგრამ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო ცუდად გვეხმარება კირის ქარხნის აგებაში. რაიონში შემოზიდული თვითეული კილოგრამი კირი 3 მანეთი და 20 კაპიკი გვიჯდება, ხოლო ადგილობრივ დამზადებული კირი კილოგრამი 1 მანეთი და 8 კაპიკი ეღირება.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მუშაკებმა შეამოწმეს ჩანდურინის თიხის ხარისხი და იგი აგურის წარმოებისათვის უვარგისად ცნეს. მაგრამ საჭირო იყო თიხის სხვა საბადოების გამოკვლევაც. რაიონში არის საბადოები, რომელთა ბაზაზე შეიძლება აგურის ქარხნის აგება. თიხის ერთ-ერთი ასეთი საბადოა სოფელ ზაკში. ჩვენ ვიყავით ამ სოფელში და დაწვრილებით გამოვკითხეთ კოლმეურნეებს. აი რა მოგვითხრეს მათ:

— ომამდე ჩვენს სოფელში მუშაობდა აგურის პატარა ქარხანა, რომელიც წელიწადში 50.000 ცალ აგურს უშვებდა. მაგრამ ადგილობრივი სათბობის უქონლობის გამო აგური ძვირი გვიჯდებოდა. სულ სხვა საქმეა ახლა. ახალციხის ქვანახშირი ახლოა და იაფიც არის. ადგილზე დამზადებული აგური, ჩვენი ანგარიშით, 20-25 კაპიკზე მეტი არ ეღირება, შემოზიდული აგური კი 40 კაპიკი გვიჯდება ცალი.

ასეთია ახალქალაქელ კოლმეურნეთა მოსაზრებანი. მაგრამ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროში ამ მოსაზრებებს ჯერ კიდევ სათანადო ანგარიშს არ უწევენ.

უნდა აღინიშნოს ის, რომ საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტრომ მთელი რიგი სამუშაოები შეასრულა ახალქალაქის რაიონში ახალი სარწყავი არხების ასაგებად. მაგრამ შეუსრულებელია დავალება, რომელსაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს რაიონის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. სამინისტროს 1956 წელს უნდა დაემთავრებინა ორჯალა-კუმურდოს სარწყავი არხის საპროექტო სამუშაოები, რათა 1957 წელს ამ არხის მშენებლობას შესდგომოდა. მაგრამ საპროექტო სამუშაოები ჯერჯერობით დაწყებულიც არ არის.

— ჩვენ აუცილებლად მიზანშეწონილად მიგვაჩნია, — განაცხადა ახალქალაქის წყალთა მეურნეობის სასისტემო სამმართველოს უფროსმა შ. სარჯველაძემ, — რომ სამინისტრომ წელს დაიწყოს ორჯალა-კუმურდოს არხის საპროექტო სამუშაოები, რომ 1957 წელს შესაძლებელი გახდეს მაგისტრალური არხის მშენებლობა. არხს დიდი მნიშვნელობა ექნება როგორც ახალქალაქის, ისე ბოგდანოვკისა და ასპინძის რაიონებისათვის. იგი მორწყავს ახალქალაქის რაიონში 10.000 ჰექტარ ფართობს, ბოგდანოვკის რაიონში — 2.000, ხოლო ასპინძის რაიონში — 1.500 ჰექტარ ფართობს.

ახალქალაქის რაიონის მშრომელები მზად არიან აქტიური შრომითი მონაწილეობა მიიღონ არხის მშენებლობაში. მაგრამ საჭიროა ამ საქმეს დროზე მიაქციოს ყურადღება წყალთა მეურნეობის სამინისტრომ.

რა თქმა უნდა, მაღალმთიანი რაიონების მშრომელთა წინაშე მარტო აღნიშნული სამინისტროები როდი არიან ვალში. მთის რაიონების ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის, ბერიევშჩინის შედეგების გადაჭრით აღმოფხვრისათვის ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გააკეთონ საქართველოს სსრ სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა. მაგრამ ამის შესახებ შემდეგ წერილში.

ვ. შავგულიძე,
ლ. ასტვაცატუროვი,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

აგიტაციურთა სემინარი

თავისებური და საინტერესო იყო თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის კამვოლური საამქროს აგიტატორების სემინარი, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინათ ჩატარდა. აგიტატორებმა მოისმინეს აგიტკოლექტივის ხელმძღვანელის, კამვოლური საამქროს უფროსის მოადგილის ინჟინერ ვ. ბაზაგაშვილის საუბარი თემაზე: „ბრძოლა მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის და აგიტატორთა ამოცანები“.

აგიტატორთა სემინარის ჩვეულებრივი მეცადინეობისაგან ეს მეცადინეობა იმით განსხვავდებოდა, რომ მას კამვოლური საამქროს აგიტატორებს გარდა ესწრებოდნენ თბილისის სტალინის რაიონის საწარმო-დაწესებულებათა პარტორგანიზაციების მდივნები, სულ 100 კაცი, რომლებიც აგიტკოლექტივებს ხელმძღვანელობენ თავიანთ საწარმოებსა და დაწესებულებებში.

მეცადინეობის დროს წამოჭრილ პრაქტიკული და თეორიული ხასიათის საკითხებზე პასუხი გასცეს აგიტკოლექტივის ხელმძღვანელმა ვ. ბაზაგაშვილმა და პარტიის რაიკომის მდივანმა გ. დევდარიანმა.

საუკეთესოდ მოვემზადოთ პირუტყვის გამოზამთრებისათვის



500 ტონის ტევადობის სასილოსე ტრანშეების მშენებლობა თელავის რაიონის სოფელ ჯუღაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში.

ფოტო მ. თელიაშვილისა.

საკვების დამზადების ჯემპი დაბალია. მანქანები ცდება

აბაშის რაიონის კოლმეურნეობებში მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნაში მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა აქვს წვნიან საკვებს. საკმარისია ითქვას, რომ წელს კოლმეურნეობებმა სულ 6.646 ტონა სილოსი უნდა დაამზადონ.

სადაც კოლმეურნეობების გამგეობები ჯეროვან ყურადღებას აქცევენ პირუტყვისათვის საკვების მომზადებას, იქ მდგომარეობა უკეთესია. სოფელ კვათანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში და სოფელ სუჯუნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში შემჭიდროებულ ვადაში დაამთავრეს სილოსის ჩადება და ახლა მასობრივად ამზადებენ თივას. ამ სამეურნეოს უახლოეს დღეებში დაამთავრებენ აგრეთვე სოფელ ონტოფოს სტალინის სახელობის, ძველი აბაშის მალენკოვის სახელობის, კეთილარის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობები.

სამწუხაროდ, საერთოდ რაიონში სილოსის დამზადების ტემპი დაბალია. 18 სექტემბრისათვის კოლმეურნეობებში ჩადებული იყო 3.500 ტონა სილოსი, რაც წლიური გეგმის 40,8 პროცენტს შეადგენს. ამ საქმეში ჩამორჩენა უმთავრესად იმით აიხსნება, რომ კოლმეურნეობებში შრომითი რესურსები მთლიანად არ არის გამოყენებული საკვების დამზადებაზე. დასილოსების ამ ცხარე დღეებში კოლმეურნეობების გამგეობების მიზეზით ვხვდებით მანქანის მოცდენის შემთხვევებს. მაგალითად, 17 სექტემბერს სოფელ ტყვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე შ. ქვილითაია) სილოსის საჭრელი მანქანა უქმად იდგა. კოლმეურნეობამ ვერ უზრუნველყო სასილოსე მასის მოზიდვა. მსგავსი მდგომარეობა იყო სოფელ პირველი მაისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაშიც. სილოსის საჭრელი მანქანის მოცდენა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ს. რატიანს არ აღელვებდა. მან უპასუხისმგებლოდ განაცხადა: — უკანასკნელ დღეებში განუწყვეტლივ წვიმდა და სასილოსე მასის გათიბვა ვერ მოვახერხეთო (!). ეს სწორი არ არის. 17 სექტემბერს კარგი ამინდი იყო და მეზობელი სოფლის ქოლობნის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ნ. მიქაძე) წევრები მთელი მონდომებით მუშაობდნენ სილოსის ჩადებაზე.

სოფელ მარნის სტალინის სახელობის, სუჯუნის სტალინის სახელობის და მარნის ბულაანის სახელობის კოლმეურნეობებში სილოსის ჩადებას ძლიერ აჭიანურებენ.

ბევრ კოლმეურნეობაში საძროხეების მშენებლობას დაუშვებლად აგვიანებენ. სოფელ პირველი მაისის მალენკოვის სახელობის, მარნის სტალინის სახელობის და გეზათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში გეგმით გათვალისწინებული საძროხეების მშენებლობა არ დაუწყიათ. ამ საქმეში ჩამორჩენას კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები საშენი მასალების უქონლობით ხსნიან. ეს მთლად მართალი არ არის, რასაც მოწმობს მოწინავე კოლმეურნეობათა მაგალითი. სოფელ სეფიეთის სტალინის სახელობის და სამიკოს ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობებში ადგილობრივი რესურსების გამოყენებით მოახერხეს საკედლედ ბეტონის ბლოკების დამზადება და მეძროხეობის ფერმებისათვის სტანდარტული ბინები ააგეს. მაგრამ ზოგიერთი კოლმეურნეობა დამოკიდებულია კოოპერაციის მიერ შემოზიდულ მასალებზე. კოოპერაცია კი არადამაკმაყოფილებლად ამარაგებს კოლმეურნეობებს საშენი მასალებით. რაციონალურ ეკონომიურ ნორმებს, ანგარიშგებაში, ბეტონის ბლოკებზე, ფერფლ-ბისათვის სტანდარტული ბინები ააგეს. მაგრამ ზოგიერთი კოლმეურნეობა დამოკიდებულია კოოპერაციის მიერ შემოზიდულ მასალებზე. კოოპერაციის კი არადამაკმაყოფილებლად ამარაგებს კოლმეურნეობებს საშენი მასალებით. რაციონალურ ეკონომიურ ნორმებს, ანგარიშგებაში, ბეტონის ბლოკებზე, ფერფლ-ბისათვის სტანდარტული ბინები ააგეს. მაგრამ ზოგიერთი კოლმეურნეობა დამოკიდებულია

ნინის სახელობის კოლმეურნეობებში სილოსის ჩადებას ძლიერ აჭიანურებენ.

ბევრ კოლმეურნეობაში საძროხეების მშენებლობას დაუშვებლად აგვიანებენ. სოფელ პირველი მაისის მალენკოვის სახელობის, მარნის სტალინის სახელობის და გეზათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში გეგმით გათვალისწინებული საძროხეების მშენებლობა არ დაუწყიათ. ამ საქმეში ჩამორჩენას კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები საშენი მასალების უქონლობით ხსნიან. ეს მთლად მართალი არ არის, რასაც მოწმობს მოწინავე კოლმეურნეობათა მაგალითი. სოფელ სეფიეთის სტალინის სახელობის და სამიკოს ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობებში ადგილობრივი რესურსების გამოყენებით მოახერხეს საკედლედ ბეტონის ბლოკების დამზადება და მეძროხეობის ფერმებისათვის სტანდარტული ბინები ააგეს. მაგრამ ზოგიერთი კოლმეურნეობა დამოკიდებულია

მოვიმარაგოთ მეჯი თივა, სილოსი

პირუტყვის ნორმალური გამოზამთრების უზრუნველსაყოფად წელს წყალტუბოს რაიონში უნდა დასილოსონ რვა ათას ტონაზე მეტი მწვანე მასა და დაამზადონ ათას შვიდასი ტონა თივა. 22 სექტემბრისათვის უკვე ჩადებული იყო 5.500 ტონა სილოსი და დამზადებული — 636 ტონა თივა.

პირუტყვის საუკეთესოდ გამოზამთრებისათვის კარგად მუშაობს სოფელ გვიშტიბის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობა. აქ წელს უნდა ჩადონ 700 ტონა სილოსი. სექტემბრის მეოთხე ხუთდღიურში უკვე ჩადებული ჰქონდათ 650 ტონა. აღნიშნულ კოლმეურნეობაში მნიშვნელოვნად გადიდდა ძროხების პროდუქტიულობა. 4 სექტემბრისათვის 190 ძროხიდან საშუალოდ თვითეულზე მიღებულია 1.200 ლიტრი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.000 ლიტრისა.

სოფელ ქვილიშორის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ მოამზადა 250 ტონა წვნიანი საკვები. უახლოეს დღეებში კოლმეურნეობა მთლიანად დაამთავრებს პირუტყვისათვის საკვების დასილოსებას.

მაგრამ ასე არ ითქმის ფარცხანაყანევის ედანოვის სახელობის კოლმეურნეობაზე (თავმჯდომარე ამხ. ა. თევდორაძე). აქ გეგმით გათვალისწინებული 680 ტონის ნაცვლად ჩადებული აქვთ მხოლოდ 120 ტონა საკვები. კოლმეურნეობაში შრომის მოუწესრიგებლობის შედეგად თითხმეტი დღე მოაცდინეს სილოსსაჭრელი მანქანა. ასევე ჩამორჩება ამავე სოფლის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ამხ. ვ. შონვაძე).

დ. გაგრიაძე.

უზრუნველყოთ გეგმის შესრულება

ახლა უხეში, კონცენტრირებული და წვნიანი საკვების დამზადების გეგმების შესრულების გადამწყვეტი პერიოდია. მიუხედავად ამისა, 20 სექტემბრისათვის რესპუბლიკაში უხეში საკვების დამზადების საქმეში არასახარბიელო მდგომარეობა იყო. გეგმა შესრულებულია 45,1 პროცენტით. თივა დამზადებულია წლიური გეგმის მხოლოდ 78,8 პროცენტი, სილოსი კი 51,3 პროცენტი.

ახალქალაქის რაიონში უხეში საკვების დაგროვების დავალება შესრულებულია 39 პროცენტით, თივისა — 75,2, სილოსისა — 68 პროცენტით. ქარელის რაიონის კოლმეურნეობებმა უხეში საკვები დამზადეს გეგმის 54,8 პროცენტი, თივა — 95,8, სილოსი — 28,9 პროცენტი.

ხაშურის რაიონში უნდა დამზადონ 7.510 ტონა სილოსი, დამზადებულია 2.103 ტონა; კასპის რაიონში სილოსის დამზადების დავალება შესრულებულია 29,7 პროცენტით, დუშეთის — 24,9, თიანეთის—34,1, ყაზბეგის — 21,1, თელავის — 37,5, ახმეტის — 35,8, ლაგოდეხის — 5,1, გარეუბნის — 36,2, მცხეთის — 28,6, გეგეჭკორის — 32, ზუგდიდის — 33,1, ჩხოროწყუს — 36,7, მახარაძის — 33, სამტრედიის— 36,6, მაიაკოვსკის — 15,8, ონის რაიონში — 26,6, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 11,6, ხოლო აჭარის ასს რესპუბლიკაში — 34,1 პროცენტით.

ინფორმაციის ბიბლიოთეკა

საქართველოს ბანკნოტი

ბანკნოტი

ბანკნოტი

##

წერილები რედაქციას

დავიწყებული ქუჩები

ზუგდიდის რკინიგზის სადგურს ზედ ეკვრის გოგებაშვილის, ჭავჭავაძის, პუშკინის, საბჭოსა და ჩელუსკინელთა ქუჩები, რომელთა კეთილმოწყობის საქმე ბედისანაბრად არის მიტოვებული: ხიდ-ბოგირები დაზიანებულია, წყლის საწრეტი არხები არ იწმინდება, რის გამო მცირე წვიმის დროსაც კი ქუჩები წყლით იფარება და გავლა შეუძლებელი ხდება. ზოგჯერ საქმე იქამდეც კი მიდის, რომ ცუდ ამინდში მოსწავლეები სკოლას აცდენენ.

კეთილმოუწყობლობას ერთი სიძნელეც ემატება. ამ ქუჩების მცხოვრებლები რაიონულ ცენტრში წასვლისას რკინიგზის ლიანდაგზე უნდა გადავიდნენ, სხვა გზა არ არის. ეს გზა კი ხშირად გადაკეტილია, რადგან ლიანდაგზე თითქმის ყოველთვის უწესრიგოდ ყრია ხის მორები, საშენი ქვა, ქვანახშირი და სხვ.

როგორც ჩანს, ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილებას დაავიწყდა ამ ქუჩების არსებობა.

ა. ფარცვანია, ნ. შენგელია, ი. ფარცვანია, ნ. მამფორია, გ. შეროზია, გ. ბერაია.

„ყორღლის“ სანადირო მეურნეობაში

საქართველოს მონადირეთა კავშირის მეურნეობებში დიდი ყურადღება ექცევა სარეწაო და სანადირო ცხოველთა აკლიმატიზებას. საამისოდ მეურნეობებში მოწყობილია სხვადასხვა ცხოველთა ვოლიერები.

სანადირო ცხოველთა მოშენების საქმე შედარებით კარგად არის დაყენებული „ყორღლის“ (საგარეჯოს რაიონი) სანადირო მეურნეობაში. ეს მეურნეობა, რომლის ფართობი 900 ჰექტარს აღემატება და წარმოდგენილია მდიდარი ფლორით, ძირითადად ემსახურება საქართველოს ფაუნის ძვირფასი წარმომადგენლის — ხოხბის შენარჩუნებასა და მომრავლებას. ამასთან მეურნეობაში მისი კოლექტივის ენერგიული შრომის შედეგად შექმნილია მდიდარი საკვები ბაზა სხვა ცხოველთა მოსაშენებლად. ამჟამად აქ მიმდინარეობს საცდელი მუშაობა ზოგიერთი სანადირო და სარეწაო ცხოველის მოშენებისათვის თავისუფალ, ბუნებრივ პირობებში.

მეურნეობაში შეყვანილია და მის ტერიტორიაზე თავისუფლად არის გაშვებული სხვადასხვა ცხოველები, მათ შორის 2 ირემლაღი, 4 ფარშევანგი, 2 ციცარი, მეურნეობის შუაგულში ფშის წყალზე ამ დღეებში გაშვებულ იქნა 50 ნუტრია. აქ მათზე წარმოებს ბიოლოგიური დაკვირვებები.

ნუტრიების მოშენებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ფშის წყალი ზამთარში არ იყინება, ამასთან არც დიდდება და არც შრება, რაც ხელს შეუწყობს ამ ადგილებში ნუტრიების დასახლებას, ხოლო წყლის სიწმინდე მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს მათი ბეწვის ხარისხს.

მეტად საყურადღებოა ის, რომ ფარშევანგმა, ამ ცხელი ქვეყნის ფრინველმა, ბუნებრივ პირობებში მყოფმა, ჩვენს ქვეყანაში პირველად ამ მეურნეობაში გამოჩეკა წიწილები. მათი ნამატი დღეისათვის თორმეტ ფრთას აღწევს. მნიშვნელოვნად მომრავლდნენ ციცრებიც.

რადგან ცხოველები ბუნებრივ პირობებში ცხოვრობენ, იკვებებიან და მრავლდებიან, დიდი მნიშვნელობა აქვს მათს დაცვას. ამ მიმართულებით მეურნეობაში სერიოზული ღონისძიებები განხორციელდა, დიდი რაოდენობით იქნა განადგურებული მტაცებელი ცხოველები, მეურნეობის ტერიტორიაზე სრულიად ლიკვიდირებულია ბრაკონიერთა თარეში.

ა. არაგული,
ნადირობის მცოდნე.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ყველა კოლმეურნე არ მუშაობს, გეგმა არ სრულდება“

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 18 აგვისტოს ნომერში მოთავსებულ წერილში მხილებული იყო ლანჩხუთის რაიონის სტალინის სახელობის და შუხუთის კოლმეურნეობებში ჩაის კრეფაში არსებული ნაკლოვანებები, შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტები.

საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიკომმა „კომუნისტის“ კრიტიკა სწორად ცნო.

რაიკომის ბიურომ შუხუთის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ს. ჩხაიძეს შრომის მოუწესრიგებლობისათვის და ჩაის ფოთლის დანაკარგების დაშვებისათვის გამოუცხადა სასტიკი საყვედური საყრიცხვო ბარათში შეტანით, ლანჩხუთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ი. ჩხაიძეს კი — საყვედური.

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ პროდუქციის ხარისხობრივ მაჩვენებლებს. სურათზე: ქვეოსტატი ს. მაკარიჩი ამოწმებს მქსოველ ელენე ხიდაშონიძის ნაქსოვის ხარისხს.

ფოტო შ. გოქაძისა.

★

ვინ როგორ ანაღდებს ვალდებულებას

მასების შემოქმედებითი აზრის უნარიანად გამოყენება წარმატების საწინდარია

ეზოში შესვლისთანავე ოცრძნობა საქმიანი ცხოვრება. მემანქანეები თავს დასტრიალებენ ლოკომოტივებს, ძონდომებით წუნდენ და ზეთავენ დეტალებს, მორიგი რეისისათვის ემზადებიან.

ასეა ყოველდღე თბილისის საელექტრომავლო დეპოს ეზოში.

XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა თბილისის საელექტრომავლო დეპოს კოლექტივმა ჯერ კიდევ მარტში აკისრა სახელმწიფო ტვირთზადვის წლიური დავალების ვადამდე და გადაჭარბებით შესრულება. მრავალი სხვა გადიდებული საწარმოო ვალდებულება აიღეს დეპოელებმა და ერთსულოვანი დარაზმულობით, ენთუზიაზმით შეუდგნენ ამ ვალდებულებათა განაღდებისათვის ბრძოლას. უკვე განვლო წლის 8 თვემ, და ახლა შეიძლება მეელმავლეთა ამ ბრძოლის წინასწარი შედეგების შეჯამება:

ტვირთბიდვის 8 თვის გეგმა შესრულებული აქვთ 106,5 პროცენტით. ნაცვლად ნაკისრი სამი კილომეტრისა სადღეღამისო გარბენის ნორმა გადაჭარბებულია 8,5 კილომეტრით. ტექნიკური სიჩქარე, ნაცვლად 4 კილომეტრისა, გადიდებულია 4,5 კილომეტრით.

განვლილ 8 თვეში დეპოელებმა გადაიყვანეს მძიმე წონის 4.055 მატარებელი და დანიშნულებისამებრ ნორმის გადამეტებით გადაზიდეს 1.099.554 ტონა სახელმწიფო ტვირთი. ნაკისრი ვალდებულების მიხედვით კი წლის განმავლობაში უნდა გადაეყვანათ მძიმე წონის 4.700 მატარებელი, ნორმის გადამეტებით წლის განმავლობაში უნდა გადაეზიდათ 1.200 ათასი ტონა სახელმწიფო ტვირთი.

თბილისის საელექტრომავლო დეპოში მრავალი ნოვატორი ჰყავთ. ისინი დაუცხრომლად იბრძვიან წარმოების ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებისათვის და მრავალი სიახლე შეაქვთ ტექნიკაში, შრომის ორგანიზაციაში. მიღწევნილ მეელმავლემ ო. დანგაძემ შეიმუშავა მძიმე წონის მატარებლის ლოკომოტივით ადგილიდან დაძვრის (მემანქანეები ატყვიან — აღების) ახალი მეთოდი. როდესაც ელმავალი მძიმე წონის მატარებელს მიუახლოვდება, 50 მეტრი მანძილიდან მატარებლამდე მემანქანე აწყვებს სილის დაყრას ლანდაგზე ვაგონების თვლების ხახუნის გასაძლიერებლად, რაც ხელს უწყობს მატარებლის ადგილიდან დაძვრას. ამ მეთოდს ახლა ყველა მეელმავლე იყენებს. ამასთან დეპოში შექმნილია მოწინავე მძიმეწონოსანთა გამოცდილების შემსწავლელი 7 სკოლა, რომლებსაც ხელმძღვანელობენ მოწინავე მემანქანეები ო. ლიკლიკაძე, გ. ჩიტიაშვილი, ო. ბუბუტეიშვილი და ი. პაიჭაძე.

ენთუზიაზმით მუშაობენ მძიმეწონოსანი მემანქანეები, რომელთა რიგებს ყოველდღე ახალი ადამიანები ემატებიან. მძიმეწონოსანმა გ. ჩიტიაშვილმა რვა თვეში 61 მძიმე წონის მატარებლით 16.164 ტონა სახელმწიფო ტვირთი გადაზიდა. კარგ მაჩვენებლებს იძლევა ო. დანგაძე. მან მძიმე წონის 86 მატარებლით 18.595 ტონა ტვირთი გადაზიდა. ასევე წარმატებით მუშაობენ ის ახალი ადამიანები, რომლებიც წელს შეემატნენ მძიმეწონოსანთა რიგებს. მათ შორის არიან ო. ბრეგაძე, ვ. ეღუნტი, ო. კალატოზიშვილი, ვ. კაციტაძე და სხვ.

წელს თბილისის საელმავლო დეპოში აქტიურად და დიდი წარმატებით მუშაობენ ადგილობრივი რაციონალიზატორები, რომლებმაც შემოიტანეს და უკვე დანერგეს 70 რაციონალიზატორული წინადადება. საამქროს ოსტატმა გ. გუდავაძემ მოაწყო ქანჩსაჭერების, მუხრუჭების და მთელი რიგ სხვა ხელსაწყოთა სასინჯი სტენდი. ამან ხელი შეუწყო ელექტრომავლების, მოტორიანი ვაგონების და სხვა ელექტროდანადგართა რემონტის ხარისხის გაუმჯობესებას. საამქროს ოსტატმა ინჟინერმა დ. კაშიამ და მიმღებმა ინჟინერმა ნ. ბარბაქაძემ წინადადება შემოიტანეს წევის ძრავას კორპუსის ხვიები გაიღებოთოს ადგილიდან მოუხსნელად. ეს წინადადება დაუყოვნებლივ იქნა მიღებული და დანერგილი. ამან დეპოს კოლექტივს უკვე მისცა 18 ათასი მანეთის ეკონომია.

მაგრამ ყველა ამ მიღწევასთან ერთად თბილისის საელმავლო დეპოს კოლექტივს აქვს ნაკლოვანებებიც. მათგან მთავარია ის, რომ დეპოელებმა განვლილ 8 თვეში ვერ შეასრულეს თვითღირებულების შემცირების დავალება. ამ ნაკლოვანების აღმოფხვრისათვის დეპოს კოლექტივს ყველა პირობა აქვს.

მასების შემოქმედებითი აზრის მიზანდასახულად გამოყენება, მათი დაინტერესება და საწარმოს საქმიანობაში ჩაბმა წარმატებათა მოპოვების საწინდარია. ეს ნათლად ჩანს საელმავლო დეპოს კოლექტივის იმ გამოცდილებიდან, რომელიც მათ წელს განვლილ 8 თვეში მიიღეს.

მ. თევარაძე.

ხაშურის რაიონში

შუშის ქარხნის მშენებლობა

საქკვებმრეწპროექტის გეგმით 1957 წელს ხაშურში დაიწყება შუშის ქარხნის მშენებლობა, რისთვისაც უკვე გამოყოფილია 25 ჰექტარი ფართობი.

ქარხანა ძირითადად დაგეგმილია სურამის კვარცის, სილისა და ცარცის ბაზაზე. იგი ყოველწლიურად დაამზადებს და ბორჯომის მინერალური წყლის ჩამომსხმელ ქარხანას მიაწვდის 100 მილიონ ბოთლს. ქარხნის მთავარ კორპუსში გათვალისწინებულია დაიდგას მინის ხახარშავი ოთხი ღუმელი. კაზმის ხარშვა რეგულირებული იქნება ავტომატურად.

ქარხნის მშენებლობასთან ერთად გათვალისწინებულია საცხოვრებელი ბინების მშენებლობა ინდუსტრიული მეთოდებით.

საფოსტო საბაგენტოები

კავშირგაბმულობის ხაშურის რაიკანტორამ ხაშურის მტკ.-თან და სოფელ ტეზერში გახსნა ახალი საფოსტო საბაგენტოები, რომლებიც გარდა ხატელეფონო კავშირისა აწარმოებენ წერილებისა და დეპეშების მიღებას და სხვა საფოსტო ოპერაციებს.

უნივერსიტეტის დახმარება სკოლისადმი

თბილისის ხტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი შეფობას უწევს ხციხის საშუალო სკოლას, ეხმარება მას სახწავლო კაბინეტების მოწყობაში. უნივერსიტეტმა სკოლას უკვე გადასცა 10 ათასი მანეთის ხელსაწყო-იარაღები.

ახალი საავტობუსო მარშრუტები

მგზავრთა უკეთ მომსახურების მიზნით „სოიუზტრანსის“ ბორჯომის კანტორამ დაწესა ახალი საავტობუსო მარშრუტები: ბორჯომი-ხაშური და ხაშური-აგარა.

კოლმეურნეობები ჯიშიან პირუტყვს იძენენ

პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესების და პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით სოფელ კაკალათხევის კოლმეურნეობამ შეიძინა ხუთი სული მაღალპროდუქტიული ძროხა. ექვსი სული ასეთი ძროხა შეიძინა აგრეთვე ბეკმის კოლმეურნეობამ.

ვ. გურგენიძე,
„კომუნისტის“ ხაკ. კორესპონდენტი.



ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის მრავალჩარხოსანი მრანდავი ო. ანტონიანი, რომელიც ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში, ყოველდღიურ დავალებას 250-300 პროცენტით ასრულებს.

სურათზე: — ო. ანტონიანი მუშაობის დროს.

ბიბლიოგრაფია

ეროვნული ამიერკავკასიის ბოლშევიკურ-ლეგალური პრესის ისტორიიდან

საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების გმირულ ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ლეგალურ ბოლშევიკურ პრესას. ლეგალურმა პრესამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა როგორც მთელი რუსეთის, ისე ამიერკავკასიის მშრომელთა პოლიტიკურ ბრძოლაში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

სახელგამმა ამას წინათ ქართულ ენაზე გამოსცა ჯ. ვათეიშვილის ნაშრომი „ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ“. წიგნი დამაჯერებლად მოგვითხრობს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ლეგალური ორგანოს როლზე რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში.

1905 წლის ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის შემდეგ, როცა რუსეთის მუშათა კლასმა „მეფეს ხელიდან გამოგლიჯა მანიფესტი“ (ლენინი), შეიქმნა შესაძლებლობა, რომ ბოლშევიკურ პარტიას გამოეცა თავისი ლეგალური ბეჭდვითი სიტყვის ორგანოები. რუსეთში პირველმა ლეგალურმა ბოლშევიკურმა გაზეთმა „ნოვაია ჟიზნმა“, რომელიც ვ. ი. ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით გამოდიოდა, საფუძველი ჩაუყარა ლეგალური ბოლშევიკური გაზეთების გამოცემას პერიფერიებშიც.

ამიერკავკასიის ბოლშევიკების პირველი ლეგალური გაზეთი იყო „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ“, რომელიც გამოდიოდა თბილისში 1905 წლის 20 ნოემბრიდან 14 დეკემბრამდე რუსულ ენაზე. „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკის“ გამოსვლა დაიწყო იმ დროს, როცა რუსეთის პროლეტარიატი ემზადებოდა რევოლუციის გადაწყვეტ ეტაპზე გადასასვლელად, შეიარაღებული აჯანყების მოსაწყობად. „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკის“ პირველი ნომრის მოწინავე სტატიაში, რომელიც საპროგრამო ხასიათის ატარებს, მოცემულია მიმდინარე მოძრაობის ღრმა ანალიზი. ამავე ნომერში განსაზღვრულია გაზეთის ხასიათი და მისი მთავარი ამოცანები. გაზეთი აშუქებდა მარქსისტულ-ლენინური თეორიის საკითხებს, რევოლუციური მოძრაობის ამოცანებს, პარტიული მშენებლობის საპირბოროტო საკითხებს, იგი ეწეოდა შეურიგებელ ბრძოლას ბურჟუაზიული პარტიების წინააღმდეგ, შეუპოვრად ატარებდა ლენინურ ტაქტიკურ ხაზს. გაზეთმა დიდი როლი შეასრულა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების განმტკიცებისა და მშრომელი მასების რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გარშემო დარაზმვის საქმეში.

„კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკს“ მტკიცე კავშირი ჰქონდა გაზეთ „ნოვაია ჟიზნთან“. საკითხების გაშუქების დროს გაზეთი ხშირად იყენებდა და აცნობდა მასებს ლენინის სტატიების ძირითად დებულებებს. „ნოვაია ჟიზნშიც“ სისტემატურად შუქდებოდა ამიერკავკასიის რევოლუციური მოძრაობის საკითხები. სარეცენზიო წიგნში კარგად არის ნაჩვენები კავკასიის კავშირის კომიტეტის ხელმძღვანელი როლი გაზეთის გამოცემის საქმეში, მისი მჭიდრო კავშირი რუსეთის პარტიულ ცენტრებთან და პირადად პარტიის ბელად ვ. ი. ლენინთან.

ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ნოვაია ჟიზნში“ მოთავსებული ლენინის სტატიები და სარედაქციო წერილები საფუძვლად ედო ამიერკავკასიის ბოლშევიკების საქმიანობას და მათი პირველი ლეგალური ორგანის მუშაობას.

„კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკში“ ტაქტიკურ საკითხებზე დაბეჭდილი თეორიული სტატიების ძირითად დებულებას წარმოადგენდა ოდეა პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირის შესახებ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში. გაზეთი თანმიმდევრულად იცავდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის ლენინურ იდეას, ბოლშევიკური პარტიის პროგრამასა და ტაქტიკას ეროვნულ საკითხში, სისტემატურად ახსნილებდა სომეხ-თათართა ხოცვა-ყლეტის ორგანიზატორს — მეფის მთავრობას და მოუწოდებდა ყველა ერის პროლეტარებსა და რევოლუციურ მასებს მჭიდროდ დარაზმულიყვნენ პროლეტარიატის გარშემო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

გაზეთში ვრცლად შუქდებოდა პარტიული ცხოვრების ყოველდღიური საკითხები. მის ფურცლებზე დაბეჭდილი თეორიული სტატიები და კორესპონდენციები რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების გმირული ბრძოლის ნათელ სურათს იძლევიან.

„კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ“ დიდ ადგილს უთმობდა მასების შეიარაღებული აჯანყებისათვის მომზადების საკითხებს. იგი მაშინვე გამოეხმაურა მოსკოვის შეიარაღებულ აჯანყებას, გააშუქა აჯანყების მსვლელობა და მისი გამოძახილი რუსეთის სხვადასხვა კუთხეში.

სარეცენზიო წიგნში ყველა ეს საკითხი კარგად არის წარმოდგენილი. ამასთანავე ავტორი მნიშვნელოვან ადგილს უთმობს გაზეთში დაბეჭდილი ძირითადი სახელმძღვანელო სტატიების ანალიზს, კონკრეტული ფაქტების გვიჩვენებს გაზეთის სახეს, განიხილავს მის განყოფილებებსა და რუბრიკებს, იძლევა საინტერესო ცნობებს გაზეთში მოთავსებულ თანამშრომლებზე და სხვ. დიდი ინტერესით იკითხება წიგნის უკანასკნელი თავი, რომელიც მოგვითხრობს, თუ რა დევნას განიცდიდა გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ“ მეფის ცენზურის მხრივ.

მიუხედავად ეანდარმერიისა და ოხრანკის მიერ რედაქციის მრავალჯერ დარბევისა, გაზეთი რეგულარულად განაგრძობდა გამოსვლას და ასრულებდა თავის კეთილშობილურ მისიას ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების განმტკიცების, მათში ლენინური იდეების დანერგვის საქმეში, თვითმპყრობელობის, მემამულეებისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად მშრომელთა ფართო მასების დარაზმვის საქმეში.

მიუხედავად ზოგიერთი ნაკლისა, წიგნი უთუოდ დიდ დახმარებას გაუწევს მკითხველს ამიერკავკასიის ბოლშევიკური პრესის ისტორიის შესწავლაში.

ჯ. ივანიძე,
ლ. თოდიძე.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული კულტურის სახლი

მიმდინარე წლის აგვისტოს ბოლოს 1956 წლის მეორე კვარტალში პროფესიული ორგანიზაციების კინოდანადგარების მუშაკთა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შეჯამების შედეგად თბილისის მედიცინის მუშაკთა ვოროშილოვის სახელობის კულტურის სახლის (დირექტორი ა. შავიშვილი) კოლექტივს მიენიჭა საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

ფართო გზა ნოვატორ მეტალურგთა გამოცდილებას

სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში ძრავალი ნოვატორი აღიზარდა. მოკლე ხანში მათ არა მარტო მეტალურგიული წარმოების ურთულესი პროცესებისა და ტექნოლოგიის ათვისება შეძლეს, არამედ შეიმუშავეს ახლებურად მუშაობის ორიგინალური მეთოდები და ამის შედეგად შრომის ნაყოფიერების ისეთ დონეს მიაღწიეს, რომ მათი სახელები ჯარგა ხანია ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც გახდა ცნობილი. ასეთები არიან ჩქაროსანი მეფოლადე ა. ფანცულაია, ბრძმედის ოსტატი კ. პარასტაშვილი, დგან-1.000-ის უფროსი ოპერატორი ა. გზირიშვილი და მრავალი სხვა.

მაგრამ ნოვატორების ყოლა როდია საკმარისი იმისათვის, რომ საწარმოს მთელმა კოლექტივმა სასურველ წარმატებას მიაღწიოს. ამ მიზნის განსახორციელებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ ცალკეულ ნოვატორთა მიღწევებს როგორ გადავაქცევთ ყველას კუთვნილებად. ამ მიმართულებით მეტალურგიულ ქარხანაში გარკვეული მუშაობაა გაწეული. ადრე ნოვატორთა გამოცდილების პოპულარიზაციის საქმეს ქარხნის შრომისა და ხელფასის განყოფილება ხელმძღვანელობდა. 1955 წელს შეიქმნა წარმოების ორგანიზაციისა და შრომის საკვლევი ლაბორატორია, რომელსაც კვლევით მუშაობასთან ერთად ნოვატორთა გამოცდილების შესწავლა და მისი განზოგადება დაეკისრა.

ლაბორატორიის შექმნამ ნოვატორთა გამოცდილების პროპაგანდა რამდენადმე გააუმჯობესა. შედარებით ხანმოკლე პერიოდში ლაბორატორიის მუშაკებმა შეისწავლეს და წარმოებაში დანერგეს მილსაგლინავი საამქროს დგან-140-ის გამჭოლი, ავტომატური და სხვა საგლინავი დგანების, მილსაჭრელი ჩარხების მომსახურე ბრიგადების, მილნამზადის საამქროს დგან-900-ის, მაცივრებისა და ხერხების ოპერატორთა გამოცდილება. ასეთივე ღონისძიებანი განხორციელდა მარტენის, სამსხმელო, წვრილსორტულ და სხვა საამქროებში, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო. მაგალითად, მილნამზადის საამქროს დგან-900-ის მუშაობის გულდასმით შესწავლამ ლაბორატორიის მუშაკები დაარწმუნა, რომ უფროსი ოპერატორები კ. კოკაია და ე. ხარჩენკო ნამზადს ლილვებში მხოლოდ 7-ჯერ გატარებით გლინავდნენ ნაცვლად ტექნოლოგიით გათვალისწინებული 9 გატარებისა. მუშაობის ასეთი მეთოდი მათ საშუალებას აძლევდა რამდენადმე შეემცირებინათ თვითეული ნამზადის გლინვისათვის საჭირო დრო და ამის შედეგად ყოველ საათში სხვა ოპერატორებთან შედარებით 12 ტონით მეტი ნაგლინი მიეღოთ. კოკაიასა და ხარჩენკოს გამოცდილების წარმოებაში დანერგვამ დგან-900-ის საათობრივი წარმადობა 10 პროცენტით გაზარდა.

ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ნოვატორთა გამოცდილების დანერგვის საქმეში სერიოზული ნაკლოვანებებია. აქ რატომღაც განმტკიცებულია არასწორი შეხედულება, რომ წარმოების ნოვატორთა გამოცდილების პოპულარიზაციისათვის თითქოს მხოლოდ ლაბორატორიის მუშაკები უნდა ზრუნავდნენ. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ქარხანაში ორმოცამდე საამქროა და თვითეულში რამდენიმე წამყვანი და დამხმარე პროფესიის მუშა მუშაობს, ცხადი გახდება, რომ ამ საკითხის მოთხოვნილების შესაბამისად გადაჭრისათვის ერთი წლის მანძილზე საჭირო იქნება სულ მცირე 100 ნოვატორის გამოცდილების შესწავლა, რაც ლაბორატორიის მუშაკთა შესაძლებლობას ჰევრად აღემატება. შავი მეტალურგიის სამინისტროს მიერ დამტკიცებული გეგმის თანახმად ლაბორატორიამ ერთ წელიწადში უნდა შეისწავლოს და განაზოგადოს 6 პროფესიის ნოვატორთა გამოცდილება. სინამდვილეში ლაბორატორია ათამდე აღწერილობას ადგენს. მაგრამ არც ამ რაოდენობას შეუძლია დაკმაყოფილოს ქარხნის მზარდი მოთხოვნილება.

ლაბორატორიის გარდა მოწინავეთა გამოცდილების შესწავლა-დანერგვის საკითხებზე უნდა მუშაობდნენ საამქროთა უფროსები, მათი მოადგილეები, ცვლების უფროსები და გამოცდილი ოსტატები. საამქროთა ხელმძღვანელები ამ მიმართულებით გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ ყოველთვიურად უნდა აბარებდნენ ანგარიშს ქარხნის მთავარ ინჟინერს. მუშაობის ამგვარად დაყენება მეტალურგებს საშუალებას მისცემს ბევრი ნოვატორის გამოცდილება განაზოგადონ და ამით წარმოებას უფრო მეტი სარგებლობა მოუტანონ.

სამწუხაროდ, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ასე არ კეთდება. ზოგიერთი საამქროს უფროსი ხშირად ლაბორატორიის მიერ შესწავლილი მეთოდების წარმოებაში დროულად დანერგვას აფერხებს. მიმდინარე წლის მარტში ლაბორატორიის მუშაკებმა შეადგინეს ბლუმინგის საამქროს სხვადასხვა ბლუმინგის ოსტატების ე. ფოკინის მუშაობის მეთოდის აღწერილობა. ფოკინისებურად მუშაობა საგრძნობლად ამცირებდა ლითონის გახურების ვადას. აღწერილობა ლაბორატორიამ შესათანხმებლად ბლუმინგის საამქროს ყოფილ უფროსს ი. გუსევს გადასცა. ყოველდღიური შეხსენების მიუხედავად, საამქროს უფროსმა მხოლოდ ერთი თვის შემდეგ „მოიცალა“ და აღწერილობას ხელი მოაწერა. სათანადო გაფორმებისა და სპეციალური განკარგულების შემდეგ ქარხნის ტექნიკური სწავლების განყოფილებამ ე. ფოკინის მეთოდის წარმოებაში დანერგვის მიზნით ბლუმინგის საამქროში შექმნა სკოლა, რომელშიც 22 კაცი უნდა გაერთიანებულიყო. სკოლის კონსულტანტად გამხურებელი ჭების ოსტატი ვ. ლიხარევი გამოიყო. მაგრამ, სამწუხაროდ, საქმის მხოლოდ ამ ფორმალური მხარის მოგვარებას დასჯერდნენ. ვ. ლიხარევმა სკოლის მუშაობა ჩაშალა. მისი დაუდევრობა ბოლოს იქამდეც კი მივიდა, რომ აღნიშნული აღწერილობა უკვალოდ „გაქრა“. ლაბორატორიამ ვ. ლიხარევს აღწერილობის მეორე ეგზემპლარი გადასცა, მაგრამ მან მაინც არაფერი გააკეთა. რამდენიმე ხნის შემდეგ ვ. ლიხარევი იძულებული გახდა თავი ასე „ემართლებინა“: აღწერილობის შედგენიდან უკვე 5 თვე გავიდა, საამქრო ძლა განსხვავებული ტექნოლოგიით მუშაობს, ფოკინის მეთოდის დანერგვა წარმოებაში საჭირო აღარ არისო. ვ. ლიხარევის უპასუხისმგებლობის შედეგად ქარხანამ დაკარგა შესაძლებლობა გამახურებელი ჭების წარმადობა თავის დროზე სულ მცირე 2 პროცენტით გაედიდებინა.

მიმდინარე წლის 18 ივლისს პროფკავშირის საქარხნო კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომლის ერთ-ერთ პუნქტში წერია: „დაევალოს ქარხნის მთავარ ინჟინერს ამხ. ვ. მიტასოვს ა. წ. აგვისტოში მოწინავე მეთოდების განზოგადებისა და მისი დანერგვის საკითხზე მოაწყოს საამქროების ხელმძღვანელთა თათბირი. მიეცეს საამქროებს დავალება მოაწყონ მოწინავე გამოცდილების სკოლები“. ამ სასარგებლო დადგენილების შესრულებისათვის დღემდე თავი არავის შეუწუხებია.

ქარხნის მთელ რიგ საამქროებში მოწინავეთა გამოცდილების სკოლები საჭირო ხელმძღვანელობასა და კონკრეტულ დახმარებას მოკლებული არიან, მათს მუშაობას დაკისრებული საქმისადმი ფორმალური მიდგომა ემჩნევა. მაგალითად, მილსაგლინავ საამქროში მილსაჭრელ ჩარხებზე მომუშავე ნოვატორთა გამოცდილების განმაზოგადებელ სკოლაში მეცადინეობა რეგულარულად არ ეწყობოდა, ამ სკოლის მსმენელებმა ა. მიროტაძემ, ა. კვიკმა და სხვებმა სასწავლო დროის 70 პროცენტი გააცდინეს.

ზოგიერთი ხარვეზი აქვთ წარმოების ორგანიზაციისა და შრომის საკვლევი ლაბორატორიის მუშაკებსაც. დღემდე მათი ყურადღების ცენტრშია მეტალურგიული ქარხნის მხოლოდ ძირითადი საამქროების ნოვატორთა გამოცდილების შესწავლა-განზოგადება, დამხმარე საამქროებს კი ნაკლები ყურადღება ექცევა. გარდა ამისა, ლაბორატორიაში შედგენილი ნოვატორთა ზოგი გამოცდილების აღწერილობა საფუძვლიანად არ არის დამუშავებული. აკლია საკითხში ღრმად ჩაწვდომა და ნათლად გაშუქება. ასეთი ნაკლი ჰქონდა, მაგალითად, მარტენის საამქროს მეარხეთა ბრიგადირის ვ. პავლიაშვილისა და სხვათა გამოცდილების აღწერილობას.

ნოვატორთა გამოცდილების დანერგვის საქმეში ლაბორატორიის მუშაკებს მეტი დახმარება უნდა გაუწიოს მეტალურგიული ქარხნის ტექნიკურმა განყოფილებამ. მოწინავეთა გამოცდილების პოპულარიზაციისათვის ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული თვალსაჩინო აგიტაცია, ოპერატიული თათბირები, რომლებზეც ინფორმაციით გამოვა თვით წარმოების ნოვატორი და დამსწრეებს გააცნობს წარმატების მიღწევის თავის საშუალებებს. ფოლადის ჩქაროსნული დნობის ან გლინვის ცალკეული ახალი რეკორდების შესახებ საამქროებში თვალსაჩინო ადგილს უნდა გამოიკრას დიაგრამები, რომლებითაც ნაჩვენები იქნება სარეკორდო მაჩვენებელთა მიღწევის კონკრეტული გზები. სამწუხაროდ, ნოვატორთა გამოცდილების განზოგადების ამ ოპერატიულ ფორმებს ქარხანაში დღემდე არ იყენებენ.

საწარმოს გადამწყვეტ უბნებზე ნოვატორთა გამოცდილების განზოგადებისათვის საერთოდ სუსტად იბრძვიან მეტალურგიული ქარხნის პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციები და სამეურნეო ხელმძღვანელები, პირველ რიგში ქარხნის მთავარი ინჟინერი ვ. მიტასოვი. ისინი ხშირად იყენებენ, რომ ნოვატორთა შრომის მეთოდებისა და ხერხების ფართოდ დანერგვა წარმოებაში შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდების უმნიშვნელოვანესი რეზერვია.

შ. საყვარელიძე,
სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის წარმოების ორგანიზაციისა და შრომის საკვლევი ლაბორატორიის უფროსის მოადგილე.

გ. გელაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში



რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა. ხუნედოარის შავი მეტალურგიის კომბინატი. ამას წინათ აქ ლითონის გამოშვება დაიწყო № 7 ბრძმედმა, რომელიც ყველაზე დიდია რუმინეთში. მისი მარგი მოცულობაა 700 კუბური მეტრი. ეს ბრძმედი გამოუშვებს 1,5-ჯერ მეტ თუჯს, ვიდრე რუმინეთის მთელი მრეწველობა 1938 წელს იძლეოდა.

სურათზე: № 7 ბრძმედი.

ფოტო რუმინეთის პრესის სააგენტო „აჟერპრესისა“.

ელექტროსადგურების მშენებლობა ჩინეთში

პეკინი. (საკდესი). როგორც გაზეთი „განსუუბაო“ იუწყება, ლანჯოუში საბჭოთა კავშირის დახმარებით შენდება დიდი თბოელექტროსადგური, რომლის მართვა მთლიანად მექანიზებული და ავტომატიზებული იქნება. მშენებლობაზე ფართოდ არის გამოყენებული დიდი ბლოკები და შრომის მოწინავე მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამშენებლო სამუშაოთა ვადების მნიშვნელოვან შემცირებას. ამჟამად მთავრდება სადგურის მთავარი კორპუსის მართვის პულტის აგება და ემზადებიან საბჭოთა კავშირიდან მიღებული მძლავრი აგრეგატების მონტაჟისათვის.

გაზეთი „ძეფანუიბაო“ იუწყება, რომ ქალაქ ვანტინში (ძიანსუს პროვინცია) დაიწყო ავტომატიზებული თბოელექტროსადგურის მშენებლობა, რომელიც ელექტროენერგიით მოამარაგებს შანხაის სამრეწველო საწარმოებს. ამ ელექტროსადგურის ტექნიკური დოკუმენტაციის ძირითადი ნაწილი მოამზადეს ჩეხოსლოვაკიის სპეციალისტებმა. ჩეხოსლოვაკია ჩინეთს მიაწვდის აგრეთვე ორთქლის ძალდანადგარებს და სხვა მოწყობილობას ელექტროსადგურისათვის.

ჩეხოსლოვაკიის ეროვნული კრების სესია

პრაღა, 24 სექტემბერი. (საკდესი). დღეს მუშაობა დაამთავრა ჩეხოსლოვაკიის ეროვნული კრების სესიამ.

სესიამ მოიწონა ეროვნული კრების პრეზიდიუმის საქმიანობა და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი.

ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი იმის შესახებ, რომ შემცირდეს სამუშაო კვირა 48 საათიდან 46 საათამდე ხელფასის შეუმცირებლად, კანონი უმაღლესი სასწავლებლების შესახებ, აგრეთვე დამატება სამოქალაქო ავიაციის კანონპროექტი.

სესიას ხტუმრებად ეესწრებოდნენ იუგოსლავიის პარლამენტის დელეგაციის წევრები.

ინგლისში გაემგზავრა სსრ კავშირის შავი მეტალურგიის მინისტრი ა. გ. შერემეტიევი

24 სექტემბერს მოსკოვიდან ლონდონში გაფრინდა სსრ კავშირის შავი მეტალურგიის მინისტრი ა. გ. შერემეტიევი სპეციალისტ მეტალურგთა ჯგუფთან ერთად, რათა გაეცნოს ინგლისის მეტალურგიულ საწარმოთა მუშაობას.

ეს გამგზავრება იმის საპასუხო ვიზიტია, ამა წლის ივნის-ივლისში საბჭოთა კავშირში ინგლისელ მეტალურგთა დელეგაცია რომ ჩამოვიდა. (საკდესი).

დამთავრდა დანიის კომპარტიის კონფერენცია

კოპენჰაგენი, 24 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ გაიმართა დანიის კომუნისტური პარტიის კონფერენციის საბოლოო სხდომა. კონფერენციის დელეგატებმა ერთხმად მიიღეს მთელი რიგი რეზოლუციები. ერთ-ერთ მათგანში მოცემულია ამ განხილვის საერთო შეფასება, რომელიც კომპარტიაში მოიწყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. მეორე რეზოლუციაში დასახულია კომპარტიის ძირითადი ხაზები და ამოცანები უახლესი პერიოდისათვის.

გაზეთი „ლანდ ოგ ფოლკი“ წერს, რომ კომუნისტური პარტიის კონფერენცია მიმდინარეობდა დელეგატების დიდი აქტივობით. გამოსვლებში შეეხნენ და განიხილეს დანიის კომუნისტური პარტიის საქმიანობის უმნიშვნელოვანესი საკითხები.

კონფერენციის დახურვისას კომპარტიის თავმჯდომარემ აქსელ ლარსენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონფერენცია იყო პარტიის ერთიანობისა და სასიცოცხლო ძალის დადასტურება.

დაიხურა საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო ბაზრობა-გამოფენა ქალაქ ნოვი-სადში

ბელგრადი, 24 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთი „ბორბა“ იუწყება, რომ ქალაქ ნოვი-სადში დაიხურა საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო ბაზრობა-გამოფენა. ბაზრობა-გამოფენაში მონაწილეობა მიიღო იუგოსლავიისა და უცხოეთის 1.250 ფირმამ და ორგანიზაციამ.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვა

ვენა, 24 სექტემბერი. (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმმა 24 სექტემბერს შემდეგი მიმართვის ტექსტი გამოაქვეყნა:

საზოგადოებრივი აზრი დიდად შეშფოთებულია იმ კონფლიქტის შესაძლებელი შედეგებით, რომელიც დაკავშირებულია სუეცის არხის მართვასა და გამოყენებასთან.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ეს შეშფოთება დასაბუთებულად მიაჩნია, რადგან კონფლიქტის განვითარებას შეუძლია საფრთხე შეუქმნას მშვიდობას.

ეგი გაფრთხილებით მიმართავს ყველა დაინტერესებულ მთავრობას და, კერძოდ, იმათ, ვინც იღებს ღონისძიებებს, რომელთაც შეუძლიათ ეს კონფლიქტი შეტაკებად გადააქციონ. იმათ, ვინც არ ყოყმანობს ასეთი შეტაკება გამოიწვიოს, უნდა იცოდნენ, რომ ეს შეტაკება გამოიწვევს მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში სათმარ მოქმედებას, რომელიც შეიძლება გაფართოვდეს და გადაიქცეს ნამდვილ ომად და საფრთხე შეუქმნას ათობით მილიონი ადამიანის ბედს.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო აცხადებს, რომ მხოლოდ მოლაპარაკებით შეიძლება მივაღწიოთ ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც უზრუნველყოფს ყველა სახელმწიფოს გემების თავისუფალ გავლას არხში რაიმე დისკრიმინაციის გამოუყენებლად და ამავე დროს დაიცავს ეგვიპტის სუვერენულ უფლებებს.

თუ მოლაპარაკებას უახლესი კვირეების განმავლობაში არ მოჰყვა დადებითი შედეგი, ამით არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ძალის გამოყენების გამართლება, მაგრამ ამას შეუძლია საჭირო გახადოს მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი, რომელიც თავისი წესდების სულისკვეთების მიხედვით მოწოდებულია მოაწესრიგოს კონფლიქტები, რომლებიც მშვიდობას ემუქრებიან.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო მიმართავს ყველა მთავრობას თხოვნით მთელი თავიანთი გავლენა გამოიყენონ იმისათვის, რომ ეს კონფლიქტი მშვიდობიანი გზით გადაწყდეს.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ფრედერიკ ჟოლიო-კიური. პარიზი, 1956 წლის 24 სექტემბერი.

აზომის ენერგიის საერთაშორისო საგენტოს წესდების განხილვისა და დამტკიცების საკითხთა კონფერენციის

ნიუ-იორკი, 25 სექტემბერი. (საკდესი). ატომის ენერგიის საერთაშორისო საგენტოს წესდების განხილვისა და დამტკიცების საკითხთა კონფერენციის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე დაიწყო საერთო დისკუსია წესდების პროექტის შესახებ.

სხდომაზე პირველი გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი უოდსვორტი. მან აღნიშნა, რომ ამ საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნა ასახავს მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების საკითხებში ქვეყნების უმრავლესობის ერთიანი თვალსაზრისის არსებობას. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საჭიროა „ფრთხილი“ მიდგომა წესდების იმ პროექტის შესწორებათა შეტანისადმი, რომელიც 12 ინიციატორმა ქვეყანამ წარმოადგინა, რათა „არ დაირღვეს მათ მიერ უკვე მიღწეული ერთიანობა“. უოდსვორტმა იმედი გამოთქვა, რომ ერთი წლის შემდეგ ახალი საერთაშორისო ორგანიზაცია პრაქტიკულ მუშაობას შეუდგება.

ნორვეგიის წარმომადგენელმა ენგენმა თქვა, რომ მისი მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საგენტოს დაარსებას და საერთაშორისო მშვიდობის ინტერესებისათვის სურს უფრო მკაცრი კონტროლი დაწესდეს მისი საქმიანობისადმი.

სხდომის დასასრულს გამოვიდა სსრ კავშირის წარმომადგენელი გ. ნ. ზარუბინი.

ღაღესის გამოსვლა ჯენევიზიით

ნიუ-იორკი, 24 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ამერიკის საგენტოები ვაშინგტონიდან იუწყებიან, გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დალესმა ინტერვიუში, რომელიც ტელევიზიით გადასცეს, კვლავ განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „ყოველი ღონისძიებით“ ცდილობენ სუეცის არხის საკითხი გადაიტრის „საერთაშორისო სამართლისა და სამართლიანობის საფუძველზე“. განმარტა რა, თუ რას გულისხმობს იგი ამ სიტყვებით, დალესმა განაცხადა, რომ დასავლეთის ქვეყნები არ დაეთანხმებიან „იმაზე ნაკლებს“, ვიდრე არხის საერთაშორისო მართვაა.

აქ ყურადღებას აქცევენ დალესის სიტყვის იმ ადგილებს, სადაც იგი ლაპარაკობდა სუეცის არხის რაიონში ომის შესაძლებლობაზე, და ეს განცხადება მიაჩნიათ დაშინების ტაქტიკად. „თუ ჩვენ, — განაცხადა, კერძოდ, დალესმა,— ვერ შევძელით რაიმე სამართლიანი სისტემის შემუშავება, რომელიც ცნობს მოსარგებლეთა უფლებებს, მაშინ არ ვფიქრობ, რომ შეიძლებოდეს დაუსრულებლად მოვუწოდებდეთ ქვეყნებს არ მიმართონ ძალას“. დალესი ამტკიცებდა, რომ ინგლის-საფრანგეთის ჩარევას ეგვიპტეში შეუძლია გამოიწვიოს ხანგრძლივი ომი, მაგრამ ამასთან ერთად დაეინებით აღნიშნავდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არა სურთ ძალის გამოყენება.

სახელმწიფო მდივანმა განაცხადა, რომ იგი „კარგი აზრისაა“ უშიშროების საბჭოსადმი ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა მიმართვის შესახებ, მაგრამ დასძინა მან, „ფონეტული არ არის საკითხის დასმა არსებითად განხილვის მიზნით, სანამ მოსარგებლეთა ასოციაცია საბოლოოდ არ შეიქმნება“.

ისწრაფვოდა რა „სუეცის არხით მოსარგებლეთა ასოციაცია“ წარმოედგინა როგორც რაღაც კომპრომისული ფორმა, დალესი ითვალისწინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მე-40 მუხლი. მაგრამ ცნობილია, რომ, წესდების ამ მუხლის თანახმად, „დროებითმა ღონისძიებებმა“, რომლებსაც უშიშროების საბჭო ურჩევს, „ზიანი არ უნდა მიაყენოს დაინტერესებული მხარეების უფლებებს, პრეტენზიებს ან მდგომარეობას“. ბუნებრივია, რომ „მოსარგებლეთა ასოციაციაზე“, რომელიც ბოლავს ეგვიპტის კანონიერ უფლებებს, ეს განმარტება არ ვრცელდება).

ამერიკის შეერთებული შტატების განზრახვას — კვლავაც მოახდინოს გავლენა ეგვიპტეზე — მოწმობს დალესის განცხადება, რომ იგი „ურჩევს ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრს ჰემფრის მოითხოვოს, რომ ამერიკის გემების მფლობელებმა არხში გავლის ქირა შეიტანონ „ეგვიპტის გაყინულ ანგარიშებზე ამერიკის შეერთებულ შტატებში“ და არა „უშუალოდ ეგვიპტის მთავრობას“ გადაუხადონ.

დამთავრდა არაბთა სამი სახელმწიფოს მეთაურების მოლაპარაკება

კაირო, 24 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს დამთავრდა არაბთა სამი სახელმწიფოს მეთაურების — ეგვიპტის პრეზიდენტის ნასერის, სირიის პრეზიდენტის კუატლისა და საუდის არაბეთის მეფის საუდის თათბირი.

მენის სააგენტოს ცნობით, კომისიამ სირიის საგარეო საქმეთა მინისტრის სალაჰ ედ-დინ ბიტარის, საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის შეიხ იუსეფ იასინისა და ეგვიპტის რესპუბლიკის პრეზიდენტის კანცელარიის უფროსის ალი საბრის შემადგენლობით მოამზადა ერთობლივი განცხადების პროექტი, რომელიც თათბირის მონაწილეებმა მოიწონეს.

ერთობლივი განცხადება არაბთა სამი სახელმწიფოს მეთაურების თათბირის შედეგების შესახებ

კაირო, 24 სექტემბერი. (საკდესი). როგორც კაიროს რადიო გადმოგვცემს, დღეს ერთსა და იმავე დროს ერ-რიადში, დამასკოსა და კაიროში გამოქვეყნდა ერთობლივი განცხადება არაბთა სამი სახელმწიფოს მეთაურების — საუდის არაბეთის მეფის საუდის, სირიის პრეზიდენტის შუქრი კუატლისა და ეგვიპტის პრეზიდენტის გამალ აბდელ ნასერის თათბირის შედეგების შესახებ.

განცხადებაში, კერძოდ, ნათქვამია, რომ თათბირის მონაწილეებმა განიხილეს სუეცის არხის საკითხი და ერთსულოვნად მივიდნენ დასკვნამდე, რომ სუეცის არხის პრობლემა და მასთან დაკავშირებული ამბები არაბთა ყველა ქვეყნის ყურადღების საგანია. თათბირი სავსებით უპერს მხარს პოზიციას, რომელიც ეგვიპტემ სუეცის საკითხში დაიკავა. თათბირი მხარს უჭერს ეგვიპტის მზადყოფნას — მიაღწიოს აღნიშნული პრობლემის მშვიდობიან გადაჭრას, რომელიც შეესაბამება ეგვიპტის ეროვნულ ინტერესებს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებს.

თათბირის მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ ამ ქვეყნების ინტერესები, რომლებიც სუეცის არხით სარგებლობენ, შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას სუეცის არხის მფლობელ ეგვიპტესთან მოლაპარაკების გზით. ასეთი მოლაპარაკება უნდა წარმოებდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების, ბანდუნგის კონფერენციის გადაწყვეტილებათა სულისკვეთებით, ისე რომ არ იყოს რაიმე ზეგავლენა ან სურვილი ცალმხრივად მოახვიონ თავს ესა თუ ის გადაწყვეტილება.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ თათბირი მიმდინარეობდა „არაბთა ქვეყნების ურღვევი სოლიდარობის“ ატმოსფეროში.

ეგვიპტის მიმართვა უშიშროების საბჭოსადმი

ნიუ-იორკი, 25 სექტემბერი. (საკდესი). 24 სექტემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ეგვიპტის დელეგაციამ უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს გაუგზავნა წერილი, რომელიც შეიცავს თხოვნას მოიწვიოს უშიშროების საბჭოს სასწრაფო სხდომა, რათა განხილულ იქნას საკითხი „ეგვიპტის წინააღმდეგ ზოგიერთი სახელმწიფოს, განსაკუთრებით საფრანგეთისა და ინგლისის, მოქმედებისა, რომელიც წარმოადგენს საფრთხეს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროებისათვის და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების სერიოზულ დარღვევას“.

ეგვიპტეში ლიბიის ელჩის განცხადება

ტრიპოლი, 25 სექტემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „სანდი გიბლი“ იუწყება, ლიბიის ელჩმა ეგვიპტეში სადიკ ელ მიუნტასერმა ამ დღეებში განაცხადა, რომ თუ საფრანგეთმა თავისი ჯარები ფესანიდან ნოემბრამდე არ გაიყვანა, როგორც საფრანგეთ-ლიბიის შეთანხმებით გათვალისწინებულია, მაშინ ლიბია იძულებული გახდება ეს საკითხი დასვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და არაბთა ქვეყნების ლიგაში.

ლიბიის ელჩმა, აღნიშნავს გაზეთი, ეს განცხადება გაკეთა იმ ცნობებთან დაკავშირებით, რომ საფრანგეთი არ აპირებს დამტკიცოს საფრანგეთ-ლიბიის შეთანხმება ფესანიდან საფრანგეთის ჯარების გაყვანის შესახებ. ლიბიამ უკვე მოახდინა აღნიშნული შეთანხმების რატიფიკაცია.

სპორტის ამბები

★ ★

სსრ კავშირის მოჭადრაკეთა გუნდი — მსოფლიო ჩემპიონი

საბჭოთა მოჭადრაკეების გუნდმა კვლავ, მესამეჯერ ზედიზედ, მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის წოდება. საბჭოთა მოჭადრაკეებმა შეინარჩუნეს ოქროს თასი და მოიპოვეს ახალი ოქროს medlebi.

24 სექტემბერს მეთორმეტე საჭადრაკო ოლიმპიადაში გათამამდა უკანასკნელი ტური. პრაქტიკულად უკვე საბოლოო მატჩის წინ სსრ კავშირის მოჭადრაკეებმა თავიანთთვის უზრუნველყვეს პირველი ადგილი და უახლოეს მოწინააღმდეგეებს ოთხი ქულით გაუსწრეს.

მეათე, უკანასკნელსწინა ტურში სსრ კავშირის გუნდმა მოუგო იუგოსლავიის მოჭადრაკეებს ანგარიშით 2,5:1,5 (ბოტვინიკის გამარჯვება გლიგორიჩზე და სამი ყაიმი დანარჩენ დაფებზე). შეჯიბრების უკანასკნელი დღისათვის მან მოაგროვა 28,5 ქულა, მაშინ როცა მის მიმყოლ უნგრეთისა და იუგოსლავიის გუნდებს თვითეულს ჰქონდა 24,5 ქულა.

უკანასკნელ ტურში საბჭოთა კავშირის გუნდი შეხვდა რუმინელ მოჭადრაკეებს. 19 საათისათვის ყაიმით დამთავრდა ჩოკილტია-ამისლოვის პარტია პირველ დაფაზე. ამ შედეგის შემდეგ სსრ კავშირის გუნდს აქვს 29 ქულა და იგი დანარჩენი მატჩების შედეგის დამოუკიდებლად მიუწვდომელი გახდა მოწინააღმდეგეებისათვის.

24 სექტემბერს დიდი ინტერესი გამოიწვია უნგრეთისა და იუგოსლავიის გუნდების მატჩმა. ამ მატჩში წყდებოდა შემდეგი საპრიზო ადგილების ბედი. ამ შეხვედრაში დაძაბული ბრძოლის პირველ საათებს შედეგი არ მოუცია. (საკდესი).

„ბურევესტნიკის“ პირველი საპროფკავშირთაშორისო სპარტაკიადა

23 სექტემბერს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სასპორტო საზოგადოება „ბურევესტნიკის“ საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პირველი საპროფკავშირთაშორისო სპარტაკიადა. სპარტაკიადაში მონაწილეობს პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების 12 ნაკრები გუნდი.

სპარტაკიადა ტარდება სპორტის შემდეგ სახეებში: მძლეოსნობაში, ცურვაში, ველოსპორტში, კალათბურთში, ფეხბურთში, ფრენბურთში, ტყვიით სროლაში, ჭადრაკში.

ორ დღეს მიმდინარეობდა „დინამოს“ სტადიონზე მძლეოსანთა შეჯიბრება. გაიმარჯვა განათლების მუშაკთა პროფკავშირის გუნდმა.

სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირთა წარმომადგენლებმა პირველობა მოიპოვეს ცურვასა და ველოსპორტში. სამი სახის (მძლეოსნობა, ცურვა, ველოსპორტი) შეჯიბრების შედეგების მიხედვით საპრიზო ადგილებზე არიან სახელმწიფო დაწესებულებების, კომუნალური მეურნეობისა და განათლების მუშაკთა პროფკავშირთა ნაკრები გუნდები.

შეჯიბრება კალათბურთში, ფეხბურთში, ფრენბურთში, ჭადრაკში გრძელდება, ტყვიით სროლაში დაიწყება 27 სექტემბერს.

შეჯიბრება სახანძრო-გამოყენებითს სპორტში

გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონის სათადარიგო მოედანზე დაიწყო 1956 წლის XII რესპუბლიკური შეჯიბრება სახანძრო-გამოყენებითს სპორტში. მასში მონაწილეობენ თბილისის, ბათუმის, სოხუმის, რუსთავის, ქუთაისის, ფოთის სახანძრო რაზმების მუშაკები.

შეჯიბრების პროგრამაშია 100-მეტრიანი ზოლის დაძლევა დაბრკოლებებით, 4×100 მეტრზე სახანძრო ამსნთრებენი დაბრკოლებებით და ადგილალებადი სითხის ჭრობით ტაფაში, სასწავლო კოშკის მეოთხე სართულის ფერიში, მოძრავი სამმუხლა კიბით მუშაობა, სპორტული ტანვარჯიში და ათეულის საბრძოლო გაშლა.

იწყება 100-მეტრიანი ზოლის დაძლევა დაბრკოლებებით. ამ შეჯიბრებაში საუკეთესო შედეგი აჩვენა აპარის ნაკრები გუნდის წარმომადგენელმა მ. დარციმელიამ — 22,6 წამი, რითაც დაამყარა ახალი რესპუბლიკური რეკორდი და გადაჭარბა თავისსავე 1955 წლის საკავშირო რეკორდს (24 წამი). ამავე სახეობის გუნდურ შეჯიბრებაში პირველ ჯგუფში წინ არის აპარის სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების ნაკრები გუნდი.

შეჯიბრება გრძელდება.

ოლ. რუბცოვა მსოფლიო ჩემპიონი

ქალთა მსოფლიო ჩემპიონატებს ჭადრაკში დიდი ხნის ისტორია არა აქვს. ისინი 1927 წლიდან 1956 წლის ჩათვლით გაიმართა ათჯერ და მათ შეძლეს მხოლოდ 4 ჩემპიონის გამოვლინება. ესენი არიან: ვერა მენჩიკი, ლიუდმილა რუდენკო, ელისაბედ ბიკოვა და ამჟამად ოლგა რუბცოვა. მათ შორის სამი უკანასკნელი საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები არიან.

საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ქალები საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციაში გაერთიანდნენ 1947 წლიდან და აქედან დაიწყეს მსოფლიო ჩემპიონატებში მონაწილეობის მიღება.

1949 წელს პირველად რუსი სპორტსმენი ქალების მონაწილეობით მოსკოვში გაიმართა მერვე მსოფლიო ჩემპიონატი, სადაც დაშვებული იყო 12 ქვეყნის 16 მოჭადრაკე ქალი, მათ შორის საბჭოთა კავშირიდან ლ. რუდენკო, ო. რუბცოვა, ე. ბიკოვა და ვ. ბორისენკო (ბელოვა). ამ ტურნირმა ლიუდმილა რუდენკოს მოუტანა დიფნის გვირგვინი და ოქროს გარდამავალ თასზე პირველად აღიბეჭდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ქალის სახელი.

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის კონგრესის გადაწყვეტილებით მსოფლიოს ჩემპიონი ყოველ სამ წელიწადში უნდა იცვლებოდეს თავიანთ წოდებას, და ჩემპიონობის დაცვის შემთხვევაში ინარჩუნებს უფლებას ერთხელ კიდევ დაიცვას თავისი დაკარგული წოდება მომდევნო მატჩ-ტურნირში.

1952 წელს წინასწარ შერჩევითს ტურნირში, რომელიც გაიმართა მოსკოვში ათი ქვეყნის 16 მოჭადრაკის მონაწილეობით, გაიმარჯვა ელისაბედ ბიკოვამ და მიიღო უფლება შესცილებოდა მატჩ-ტურნირში მსოფლიოს ჩემპიონობის წოდებისათვის ლ. რუდენკოს.

1953 წელს ქალაქ ლენინგრადში გაიმართა მატჩ-ტურნირი რუდენკოსა და ბიკოვას შორის. გათამამდა 14 პარტია. ამჯერად გამარჯვება ხვდა მოსკოველ ბიკოვას, რომელმაც მოიგო მატჩი 8:6. ამრიგად, რუდენკომ მსოფლიოს ჩემპიონობა გადასცა ბიკოვას, ხოლო მას დარჩა სამოდამოდ მსოფლიოს ექსჩემპიონის წოდება,

ო. რუბცოვა.

• • •

აგრეთვე უფლება მატჩ-ტურნირში ერთხელ კიდევ მონაწილეობისა.

1955 წლის ოქტომბერში ქალაქ მოსკოვში კიდევ გაიმართა შერჩევითი ტურნირი კანდიდატის გამოსავლინებლად 12 ქვეყნის 20 მოჭადრაკე ქალის მონაწილეობით. ამჯერად ჯაბარჯვა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ოლგა რუბცოვამ, რომელმაც მიიღო უფლება შესცილებოდა მატჩ-ტურნირში მსოფლიოს ექსჩემპიონს რუდენკოს და მსოფლიოს ჩემპიონს ბიკოვას.

1956 წლის 21 აგვისტოს ქალაქ მოსკოვში საბჭოთა არმიის ცენტრალურ თეატრში გაიმართა მატჩ-ტურნირი სამი დამსახურებული სპორტის ოსტატის ე. ბიკოვას („ბურევესტნიკი“), ლ. რუდენკოს („ზენიტი“) და ო. რუბცოვას („სპარტაკი“) შორის. სამთა ბრძოლამ გასტანა ერთ თვეზე მეტს. მათ გაითამაშეს 24 პარტია, ე. ი. თვითეულმა 8 პარტია.

მესამე წლის შემდეგ ტურნირს ლიდერობდა ბიკოვა 4 ქულით, რუბცოვას ჰქონდა 3 და რუდენკოს 2 ქულა.

ტურნირის პირველი ნახევრის დამთავრების შემდეგ სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურებოდა: რუბცოვა — 5 ქულა, ბიკოვა — 4½ და რუდენკო — 2½ ქულა.

19 ტურის შემდეგ ტურნირს კვლავ ბიკოვა ლიდერობდა 7 ქულით, რუბცოვას ჰქონდა 6½ და რუდენკოს 3½ ქულა.

უკანასკნელი წრის წინ მეტად მნიშვნელოვანი ლიდერობა ხელთ იყო რუბცოვას. მას ჰქონდა 8½ ქულა, ბიკოვას 8 და რუდენკოს 4½.

მსოფლიო ჩემპიონის ბედი წყდებოდა 23-ე ტურში, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ ბიკოვა და რუბცოვა. თუ ბიკოვა ამ პარტიას მოიგებდა, მას რჩებოდა მსოფლიოს ჩემპიონის წოდება, ხოლო თუ რუბცოვა გაიმარჯვებდა, ის მსოფლიოს ახალი ჩემპიონის გვარს შეიტანდა ოქროს გარდამავალ თასზე. მათ გაითამაშეს რუბინშტეინის ვარიანტი ფრანგულ პარტიაში. მსოფლიოს ჩემპიონმა არასწორი გეგმა აირჩია, 35-ე სვლაზე გაიცვალა ლაზიერები და პარტია გადაიდო მსუბუქი ფიგურების ენდშპილში. პარტიის დამთავრების დღეს მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ბიკოვამ დაამთავრა ტურნირი და მოაგროვა 9½ ქულა, რუბცოვას კი ჰქონდა 9 ქულა და ერთი პარტია სათამაშო რუდენკოსთან.

თუ რუდენკო წარუმატებლად იბრძოდა თავისი დაკარგული ტიტულის აღსადგენად, სამაგიეროდ მსოფლიოს ახალი ჩემპიონის ბედი მასზე იყო დამოკიდებული. რუბცოვას აუცილებლად უნდა მოეგო უკანასკნელი პარტია, რომ მსოფლიოს ჩემპიონი გამხდარიყო. რას აძლევდა მას ყაიმი? ის გაიყოფდა პირველ და მეორე ადგილებს ბიკოვასთან, რაც თანასწორ სატურნირო დებულებისა, მსოფლიოს ჩემპიონობას უნარჩუნებდა ბიკოვას.

23 სექტემბერს გათამაშდა ეს გადამწყვეტი პარტია. რუდენკო დამარცხდა. მისმა დამარცხებამ კი ახალი ჩემპიონის გვარი შეიტანა ჭადრაკის ისტორიაში.

საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ოლგა რუბცოვა მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

ძსენია ბოგიანა,
პირველი თანრიგის მოჭადრაკე.

სსრ კავშირის ჩემპიონატი საერთაშორისო შაშში

კიევი, 24 სექტემბერი. (საკდესი). დღეს აქ დამთავრდა სსრ კავშირის მესამე პირველობის ფინალი საერთაშორისო შაშში. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის წოდებას ერთმანეთს ეცილებოდა თვრამეტი უძლიერესი მოშაშე. 24 დღის დაძაბული ბრძოლის შემდეგ პირველი ადგილი და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის წოდება საერთაშორისო შაშში მესამეჯერ ზედიზედ მოიპოვა უკრაინის მრეწველობის დამპროექტებელი ინსტიტუტის კიევის კანტორის ინჟინერმა ი. კუბერმანმა. მან მოაგროვა 12 ქულა 17 შესაძლებელში.

მეორე ადგილი დაიკავა მინსკელმა ოსტატმა მ. შაველმა — 11,5 ქულა. მესამე და მეოთხე ადგილები გაიყვეს ოსტატებმა მ. კოგანმა (კიევი) და ა. კოვრიჟკინმა (ხარკოვი).

ამა წლის ნოემბერში ჰოლანდიაში მოეწყობა მსოფლიო პირველობა შაშში. მასში მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა კავშირის ოთხი უძლიერესი მოშაშე.

კითხვა-პასუხის საღამო

დღეს საღამოს 8 საათზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის საქმიანობაზეა (რუსთაველის პრ. № 29) საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილება და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანიტარული განათლების რესპუბლიკური სახლი აწყობენ კითხვა-პასუხის საღამოს თანამედროვე მედიცინის საკითხებზე. საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის პროფ. მ. გ. საყაშვილი. შეკითხვებზე პასუხს გასცემენ: ა) ქირურგიული დაავადებისა და პროფილაქტიკის საკითხებზე — პროფ. მ. ჩიჩავა, ბ) ტუბერკულოზის პროფილაქტიკისა და მკურნალობის საკითხებზე — პროფ. გ. მესტიაშვილი, გ) კიბოს მკურნალობის ახალ მეთოდებზე — პროფ. კ. ვეფხვაძე.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

ოთხშაბათს, 26 სექტემბერს
უ. შექსპირი
ოტელო
ტრაგედია 5 მოქმედებად, 7 სურათად
თარგმანი ივ. მაჩაბლისა
მონაწილეობენ: აკ. ხორავა, აკ. ვასაძე, ნ. ლაფანი, გ. საღარაძე, მ. ჩიხლაძე, ვ. დოლიძე, დ. ხუციშვილი, გ. გეგეჭკორი, ალ. თოიძე, თ. ბაკრაძე, ნ. ჩხეიძე, კ. მახარაძე და სხვები.
წარმოდგენის დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში.

საქართველოს რადიოს გადაცემათა პროგრამა
27 სექტემბრისათვის
პირველი პროგრამით
რადიოსადგურებით 1571 და 59,52 მეტრ ტალღებზე, აგრეთვე თბილისის საქალაქო ქსელით
06.30—ქართული სიმღერები, 07.35—„პიონერთა დაფიონი“, 12.15 — მოლდავური სიმღერები, 12.45 — ქართველ კომპოზიტორთა ვოკალური ნაწარმოებები, 17.15 — ნაწყვეტები ა. ბუკიას ოპერიდან „დაუპატიჟებელი სტუმრები“, 17.40 — საუბარი: „ლენინური ეროვნული პოლიტიკა საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის საფუძველია“, 18.20—საბავშვო სიმღერები, 18.35 — ლიტერატურული გადმოცემა მოსწავლეთათვის, 19.20 — პოპულარული მუსიკის კონცერტი.
რადიოსადგურით 1571 მეტრ ტალღაზე და თბილისის საქალაქო ქსელით
20.20 — მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლის „მეფე ერეკლეს“ რადიომონტაჟი, 20.40 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები.
მეორე პროგრამით
რადიოსადგურით 59,52 მეტრ ტალღაზე
20.20 — კონცერტი რომსი-კორსაკოვის ნაწარმოებებიდან, 21.10 — ლიტერატურული გადმოცემა ციკლიდან „ზომბა ხალხების ლიტერატურა“, 21.40 — მონტაჟი ოფენბახის ოპერეტისა „პარიზის ცხოვრება“.

ДЕС
თბილისის თეატრებში
რუსთაველის სახელობის — ოტელო, **მარჯანიშვილის სახელობის** — ბიგმალიონი, **გრიბოედოვის სახელობის** — ტურბინთა დღეები, **ფილარმონია** — მოსკოვის ოპერეტის მსახიობთა საღამო (საზაფხულო თ